კ. ოცხილის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა.

9
Ж-68-3

მაკმადი

და მისი მოღვაწეობა.

მიულერიდან.

ქ. ქუთაისის სახ. საჯარო
ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА [redacted]
Кут. Гор. Публичная

დ. უზნაძის რედაქციორობით.

ინვ. 5157
№ 47
№ ეკზ.

ბიბლიოთეკა

ქ. ქუთაისი.
ქართ. შორის წ.-კ. გამ. სახ. ქუთ. ვანყ. სტრიბ.
1914 წ.

რედაქტორისაგან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეცნიერულსა და ფილოსოფიურ საგნებზე წერა და ლაპარაკი ქართულათ ბევრისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო! ვინ იფიქრებდა, რომ ქართული ენის საგანძური იმდენათ ძვირფასი აღმოჩნდებოდა, რომ უკანასკნელი დროის მეცნიერულითა და ფილოსოფიური ვარჯიშობით გალესილი გონების განყენებულ ცნებებსაც კი შესაფერსა და სრულს სიტყვიერ გამოხატულობას უპოვნიდა.

მეცნიერული და ფილოსოფიური ენა ყველგან ხელოვნურათ შეზავებულია; იგი ამიტომ ამავე ენაზე მოლაპარაკე უბრალო ადამიანისათვის უცხო და გაუგებარია. ეს ასეც უნდა იყოს; ენის განვითარება გონებისა და გრძნობის განვითარებას მისდევს კვალდაკვალ. იგი გარეგანი, თვალსაჩინო სიმპტომია თვალთაგან ფარულის, შინაგანი ცხოვრების განვითარებისა. და როგორც გონება უბრალო ადამიანისა უძლურია ღრმა ფილოსოფიური მსჯელობის ნაყოფი ადვილათ შეითვისოს, ისე უძლურია იგი იმ ენის გაგებაშიც, რომელიც ამ ნაყოფს გარეგან გამოხატულობას აძლევს.

ჩვენი ენა არ არის ხელოვნურათ განვითარებული. ხოლო საკვირველი ის არის, რომ იგი საკმაოთ მდიდარია—ათასი ისეთი განყენებული ცნება და აზრი გამოხატოს, რომელიც მხოლოდ დღევანდელს განვითარებულ აზროვნებას წარმოუშვია.

რით აიხსნება ეს? მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ იმ კულტურული სიმდიდრით, რომელიც ჩვენს წარსულ ისტორიას შეუქმნია და ჩვენთვის, ქართულ ენასთან შედუღებული, მემკვიდრეობით გადმოუცია. მაგრამ ჩვენი ენის ამ საკვირველი თვისების მიუხედა-

ვათ მაინც არავინ ჰფიქრობდა, რომ იგი მეცნიერულსა და ფილოსოფიურ კვლევაში გამოსადეგი შეიქმნებოდა. დღეს, როგორც ხედავთ, ეს აზრი სასიამოვნო შეცდომა აღმოჩნდა, ჯ უკვე შესაძლებელი შეიქმნა თანამედროვე გონებრივი კულტურის სიმდიდრის ზედმიწევნითი გადმოცემა ამ ენის საშვალებით.

მაგრამ ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო ლიტერატურა ფრიად ღარიბია. თუ გნებავთ, იგი ჯერ არც კი არსებობს. დღეს მხოლოდ ისახება იგი, და მისი მომავალი ბედი ოდნავ შესამჩნევი მკრთალი ხაზებით იფარგლება.

ჩვენი ცხოვრება კი წინ მიდის; იგი ნელს, მაგრამ მაინც საგრძნობელ ცვალებადობას განიცდის. იგი ახალ მოთხოვნილებათა ბადებს და ძველ მისწრაფებათა დასაკმაყოფილებლათ ახლათ გაჭედილ ფორმებს მოითხოვს.

სახალხო უნივერსიტეტები და იქ მოსიარულე საზოგადოება სხვათა შორის ნათლათ მოწმობს, რომ ჩვენს ხალხში ცოდნის წყურვილი თანდათან მატულობს. ხოლო იგი ამ წყურვილს სამშობლო მწერლობით ვერ იკლავს, და ხშირათ ძლიერ ბევრი იძულებული ხდება უცხო ენას, უცხო მწერლობას მიმართოს. ამით ხალხის თავისებური ეროვნული შემოქმედების ძალა დუნდება, იგი უცხო სფეროში, უჩვევ ატმოსფერაში სულს ვერ იბრუნებს, მისი გონება იფიტება, მისი ნების ყოფა ჩლუნგდება, და ასე ნელ-ნელა ხალხის სული დეგენერაციის გზას ადგება.

ამ საშიში შესაძლებლობის თავიდან აცილება კი ზნეობრივი მოვალეობაა ყოველი ქართველისთვის, ზნეობრივი მოვალეობა კულტურისა და „ადამიანობის“ მომავლის წინაშე. ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს მოვალეობა და ყველაფერი ვიღონოთ მისი პირნათლათ ასრულებისთვის. ჩვენ ის მაინც შეგვიძლია, რომ ქართული მეცნიერების დანაკლისის შევსებისათვის ვიზრუნოთ. ᲓᲐ აი, სწორეთ ამ ნიადაგზე დაიბადა ჩვენი განზრახვა „საისტორიო ბიბლიოთეკის“ დაარსებისა.

იგი, ალბათ, უმთავრესათ ნათარგმნი ნაწარმოებებით შეივსება. ხოლო იქიდან არც ორიგინალური ნაშრომი იქნება განდევნილი.

ამასთანავე, რადგანაც იგი განზრახულია ისეთი მკითხველისათვის, რომელსაც უცხო მწერლობით ყველა თავისი გონებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჯერ კიდევ არ უგემია (ასეთი კი ხალხში უნდა ვეძიოთ), ამიტომ ჩვენი „საისტორიო ბიბლიოთეკა“ შევსებული იქნება პოპულარული შინაარსის ნაშრომებით.

მაგრამ მარტო პოპულარიზაცია არ შეადგენს ჩვენს მიზანს.

ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა ღარიბია. მეთქი, ვამბობდი; და ეს სიღარიბე მეცნიერების ყოველ სფეროში არის საგრძნობი. ამ მხრივ არც მსოფლიო ისტორია შეადგენს გამონაკლისს. მაგრამ მომავალში ხომ მაინც უნდა აღორძინდეს ჩვენი მეცნიერება; და ასეთი აღორძინებისათვის ნიადაგის მომზადებაა საჭირო. მარტო პოპულარიზაციის მიზნით შედგენილი წიგნი კი ამ მიზანს ვერ გაუწევს სამსახურს.

ამას გარდა, საჭიროა, რომ ქართულმა მწერლობამ მეტი მკითხველი მიიზიდოს; საჭიროა, რომ ყველას ეგულებოდეს იქ ის საკვები, რომელსაც მისი სული მოითხოვს. ამიტომ ჩვენმა „ბიბლიოთეკამ“ სერიოზული მკითხველის მოთხოვნილებაც უნდა მიიღოს მხედველობაში, მან ანგარიში ყველას უნდა გაუწიოს.

ეს კი შესაძლებელი იქმნება, თუ იგი ისეთი ისტორიული ნაწარმოებებით შეივსება, რომელნიც იმდენათ მარტივათ იქმნება დაწერილი, რომ მისი შეთვისება მოუმზადებელი მკითხველისთვისაც ადვილი შესაძლებელი აღმოჩნდება, და იმდენათ სერიოზულათ და საინტერესოთ შედგენილი, რომ მისი წაკითხვა მომზადებულის, განათლებული მკითხველისთვისაც საინტერესო და სასარგებლო გამოდგება.

ჩვენ ამ თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების გამოქვეყნებას განვიზრახავთ. ამ თვალსაზრისით ვხელმძღვანელობდით ახლაც, როდესაც ჩვენი „ბიბლიოთეკის“ პირველ ნომერს **მიულერის** ნაწერს ვუთმობდით **მაჰმადიანობის** შესახებ. შემდეგი ნომრებისთვის განზრახულია ჯერ-ჯერობით იმავე **მ**იულერის წიგნიდან ამოღებული ცნობები **მ**აჰმადის მოძღვრებისა და არაბების სახელმწიფოს შესახებ და შემდეგ **გრევსის** შრომა **ხალხთა დიდ მოძრაობაზე**.

დ. უზნაძე.

არაბთა ომა-ცხოვრება.

მე-V-ე საუკუნეში ქრისტეს წინ მთელ არაბეთში უძლიერეს კაცათ ქულეიბი ითვლებოდაო,—მოგვითხრობს არაბული გადმოცემა. ქულეიბი ყოფილა ერთერთი არაბული ტომის, ბენუ-თაგლიბის წინამძღოლი. ეგ ტომი მთაბარობდა მონათესავე ტომთან ბენუ-ბეკრთან ერთად არაბეთის ნახევარ-კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ, სირიის უდაბნოდან დაწყებული შუაგულ არაბეთში აყუდებულ მთებამდი.

ბენუ-თაგლიბი და ბენუ-ბეკრი მოკავშირე მეზობლებთან ერთად ხშირათ ებრძოდენ ხოლმე სამხრეთ არაბეთის მეფეებს და ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდენ. პირადათ ქულეიბი ხომ სრულიად ჩრდილავდა თავისი ძლიერებით მომხმარე მხედართმთავრებს.

დიდი სახელი მოიხვეჭა გმირმა ქულეიბმა. მთელს არაბეთში პირველი კაცი იყო. და რომ იგრძნო მან თვისი პირველობა, თავი მაღლა ასწია: მის გულში სიამაყემ დაიბუდრა; გადაჭარბებული ამაყი შეიქმნა.

ათასეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ეგ გმირი მოკვდა. ხოლო სახელი მისი უკვდავი დარჩა. სიამაყე იმდენათ ახასიათებდა გმირს, რომ ანდაზაშიც კი შეხვდებოდით მის სახელს: „ქულეიბ ვაილზე უფრო ამაყიაო,—იტყოდენ ხოლმე არაბები გულზვიად ადამიანზე.

ქულეიბს ცოლათ ჰყავდა ჯელილა, ბეკრთა ტომის ქალი. ამგვარათ თაგლიბთა ტომი, რომელსაც თვითონ ქულეიბი ეკუთვნოდა, ბეკრთა ტომს დაუმოყვრდა. მათმა მოყვრობამ მეგობრული ხასიათი მიიღო: ჯესასმა, ჯელილას ძმამ, თავისი კარავი სიძის, ქულეიბის კარვის გვერდით გააშენა.

ერთხელ ჯესასს მამიდა ბესუსი ეწვია სტუმრათ. ბესუსი, როგორც უცხო ტომის ქალი, თაგლიბთა და ბეკრთა ტომებში თავისუფლათ ვერ გრძნობდა თავს: იგი ძმისწულის მფარველობაში იმყოფებოდა.

ერთ დღეს ბესუსს ეწვია მისი თანამემამულე საადი, რომელიც ჯესასთან უნდა ჩამომხტარიყო. საადის თან მოეყვანა ერთი აქლემი (ჯამა); აქლემი მან მასპინძლის აქლემთა ჯოგთან ერთად გაუშვა საძოვრათ; და რადგანაც ჯესასისა და ქულეიბის ჯოგები ერთად სძოვდენ, საადის აქლემიც ამ ორ ჯოგში გაერია.

ერთხელ ქულეიბი მინდვრათ გავიდა, რომ საძოვარი ადგილები დაეთვალიერებია. უცებ კვერცხებზე მჯდარ ტოროლას მოავლო თვალი. ტოროლა კაცის დანახვაზე დაფრთხა, ფრთები შეაფართხუნა. ქულეიბი მხიარულათ იყო და ფრინველსაც გამოელაპარაკა: „ნუ შიშობ,—უთხრა მან ტოროლას,—შენ შენი კვერცხებიანათ ჩემს მფარველობაში ხარ; არავის არ ძალუძს—შენ ვნება მოგაყენოსო“.

ხოლო როცა ქულეიბს მეორეთაც მოუხდა იმავე ადგილზე გავლა, მან მიწაზე შეამჩნია სრულიად უცხო აქლემის კვალი. ეგ კიდევ არაფერი,—ტოროლას კვერცხები გასრესილი დახვდა. ბაბრაზებული ქულეიბი სახლისკენ გაეშურა.

მეორე დილას ქულეიბი და ჯესასი ერთად გამოვიდენ საერთო საძოვრების დასათვალიერებლათ. უცებ ქულეიბმა საადის აქლემს მოჰკრა თვალი. მას მაშინვე გაუელვა აზრმა—სწორეთ ამ აქლემის გასრესილია კვერცხებიო—და გაანჩხლებულმა შეეკვირა ჯესას: „მიფრთხილდი! შენდამი ეჭვები მებადება—და თუ ჩემს ნაფიქრში დავრწმუნდი, მაშინვე მივიღებ ზომებს, რომ ეგ აქლემი ჩვენი საძოვრებიდან გავაძეოო“. ჯესასმა თავი შეურაცხყოფილათ იგრძნო და მოუთმენლათ უპასუხა: „და მეც ვფიცავ ღმერთს, რომ ეგ აქლემი ისევე დაბრუნდებაო“.

შელაპარაკდენ სიძე-ცოლისძმა. ბალანძღეს ერთმანეთი. საქმე მუქარამდი მივიდა: „თუ კიდევ მინახავს ეგ აქლემი ჩვენს საძოვარშიო,—უთხრა ქულეიბმა ცოლისძმას,—ჩემი ისარი მას შიგ ცურში გაერჭობაო“. ჯესასმა უპასუხა: „შენ რომ აქლემს ისრით ცურს გაუპობ. შუბს ჩაგცემ ზურგშიო“.

ამით გათავდა ლაპარაკი. ჯესასმა თავისი ჯოგი მინდვრისკენ გაიდენა საბალახოთ; განრისხებული ქულეიბი შინ დაბრუნდა.

ჯელილას არ გამოეპარა ქმრის აღშფოთება; ძალიან აინტერესებდა ამის მიზეზი გაეგო.

— შეგიძლია თუ არა შენ,—შეეკითხა ქულეიბი მეუღლეს,—მიმითითო ისეთ ადამიანზე, რომელსაც შეეძლოს დაიცვას თუ გინდ სტუმარიც კი ჩემს წინააღმდეგ?

— საეჭვოა მოიძებნოს მასეთი გმირი; ხოლო ჩემი ძმა ჯესასი სხვაა; იგი შესძლებს სტუმრის დაცვას თვით შენს წინააღმდეგაც კი! უპასუხა ჯელილამ.

ამაყ ქულეიბს ვერც კი წარმოედგინა ქვეყნათ ასეთი მოწინააღმდეგე და ჯესასს ბოროტი დაცინვა დაუწყო. ჯესასიც დაცინვით უპასუხებდა ქულეიბს.

ასეთმა უხეირო განწყობილებამ მათ შორის მანამ გასტანა, სანამ ახალმა შემთხვევამ საქმის ვითარება არ შესცვალა.

ერთხელ ქულეიბმა მოისურვა კიდევ დაეთვალიერებია აქლემები და მინდვრისკენ გასწია. მწყესები სწორეთ მაშინ მიერეკებოდენ აქლემებს წყაროსაკენ. წინ ქულეიბის ჯოგი მიდიოდა. მაგრამ საადის აქლემი, რომელმაც ქულეიბსა და ჯესასს შორის აქ ყველა ეს უკმაყოფილება გამოიწვია, წინ გამოხტა, გაძვრა აქლემებს შუა და პირველათ იგი დაეწაფა წყალს.

ქულეიბმა ეს გარემოება უყურადღებოთ არ დასტოვა. ჰწყესებმა აცნობეს—აქლემი სხვისიაო. გაწყრა ქულეიბი: ჯიბრიანმა ჯესასმა სხვისი აქლემი განგებ მიუშვა პირველათ.

იფიქრა მან და კიდეც აასრულა მუქარა: შვილდს სტაცა ხელი და აქლემს შიგ ცურში ჩაურჭო ისარი. აქლემი ბღავილით გაექანა ჯესასის კარვისაკენ. ბესუსს, ჯესასის მამიდას, დაჭრილი ცხოველის დანახვაზე ელდა ეცა. მისი სტუმრის, მისი თანამოძმის საკუთრებას ასე უსინდისოთ შეეხენ. ვაი სირცხვილო, ვაი თავსხლაფის დასხმავ! სტუმარი არ დაინდვესო,— გაიძახოდა გულგახეთქილი ქალი; და რომ გული მოეჯერებია, აქეზებდა ჯესასს, რომ დამნაშავისათვის სამაგიერო ეზღო; ჯესასი, თავისი მხრივ, ცთილობდა, როგორმე დაემშვიდებია მამიდა.

—სამაგიეროთ შენი სტუმარი ჩემგან კარგ საჩუქარს მიიღებსო,— ეუბნებოდა იგი ბესუსს. მაგრამ ქალი არ ცხრებოდა, მთელი დღეები უჩიჩინებდა ძმისწულს: სამაგიეროს გადახთა აუცილებელიაო. როცა ვერაფერს გახდა, დაცინვაც დაუწყო ჯესასს:— ლაჩარი ხარო,— ეუბნებოდა,— შენს ოჯახში უცხო სტუმარი ვერ დაგიცვია და ამნაირათ უარყავი ყოველი რიგიანი ადამიანის მოვალეობა: შენს ჭერქვეშ მყოფი ვერ დაიფარე უსინდისოებისგანო.

ჯესასმა მოთმინება დაკარგა. მან ველარ გაუძლო ამდენ დაცინვას და ბრაზმორეულმა შეჰყვირა მამიდას: „დადუმდი ქალო! ხვალ მოკვდება იგი, ვისი მოკვლაც ვაილს შენს აქლემზე უფრო ძვირათ დაუჯდებაო.“

ეს ამბავი კულეიბს წინდაწინვე აცნობეს მისმა ახლობლებმა. კულეიბმა იფიქრა, რომ ჯესასის მუქარა მის საყვარელ აქლემს შეეხებოდა— და დაბეჯითებით გადასწყვიტა— ჯესასი ჩემს აქლემს აგრე ადვილათ ვერ მოკლავსო.

ხოლო ჯესასი ამის შემდეგ თვით კულეიბს უთვალთვალებდა; იგი დროს ეძებდა, რომ ბოლო მოეღო შეურაცხმყოფისათვის. შემთხვევაც მალე მიეცა; ერთ დღეს ჯასასმა თვალი მოკრა კულეიბს, რომელსაც იმ დროს არავითარი იარა-

ღი არ გააჩნდა. ჯესასი გაეკიდა და მიაძახა მიმავალ სიძეს: მიფრთხილდი! უნდა მოგკლაო.

— თუ არ ხუმრობ,—უპასუხა ძულეიბმა,—ჩემს წინ დადექო!

ძულეიბი იმდენათ ამაყი იყო, რომ მის მოწინააღმდეგეს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, ღირსათ არ გახთიდა—უკან მოპრუნებოდა.

მაგრამ ჯესასმა ბევრი არ აცალა: ძულეიბს შიგ ზურგში ჩასცა შუბი და უსულოთ გააგორა მიწაზე. მკვლელი ჯესასი შინისკენ გაიქცა...

ჯესასის მამა სხვა ნათესავებთან ერთად კარვის წინ იჯდა. შეამჩნია თუ არა მან შვილი, რომელიც თავქუდ მოგლეჯილი მორბოდა, სთქვა—უთუოდ რამე საშინელება ჩაუდენიაო,—და შესძახა უკვე მოახლოვებულ შვილს: ,,რა ამბავია, რა დაგმართია?-ო—ძულეიბი მოვკალიო,—უპასუხა ჯესასმა.—ჰო და, შენ თვითონ გაეც პასუხი! დე, ბორკილები გაგიყარონ და ძულეიბის მოძმეებმა მოგკლან!—უთხრა ჯესასს მამამ და თან ესძინა: ,,აწ ველარ შეერთდეს მთელი ვაილი კეთილი მიზნით. როგორ უღალატე მთელ ერს, ჯესას! მოკალი ტომის მხედართმთავარი და ომი და განხეთქილება ჩამოაგდე ჩვენს შორის-ო.

ხოლო ჯესასი ტრაბახობდა კიდეც თავის საგმირო საქმეს. ბალე იგი შებორკეს მამის ბრძანებით და კარავში დაამწყვდიეს. შეიკრიბენ კიდეც მთელი ტომის უხუცესნი, რათა ეგ ფრიად სახიფათო საქმე მოეგვარებიათ.

— ჩემმა შვილმა,—მიმართა ჯესასის მამამ მოსულებს,—ძულეიბი მოკლა; და იგი დგას თქვენს წინაშე შებორკილი; ყოველ შემთხვევაში, მგონია, ჯობს მოვიცადოთ, სანამ მოკლულის ნათესავები არ მოვლენ სისხლის ასაღებათო.

მაგრამ იქ შეგროვილმა არაბებმა უარი განაცხადეს ჯესასის გაცემაზე.

--- **Д**ამნაშავეა იგი, თუ უდანაშაულო—ჩვენ მაინც ვალათ გვედება მისი დაცვა; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პატივი და დიდება დამცირდება და ლაჩრებათ ჩავითვლებითო, ერთხმათ განაცხადეს მათ.

ამნაირათ გაწყდა მჭიდრო კავშირი ორ მონათესავე ტომს შორის. **თ**აგლიბი და **ბ**ეკრი მოსისხლე მტრები შეიქმნენ ერთმანეთისთვისა. **დ**აიწყო ომი. **ი**ღვრებოდა სისხლი არაბეთის ველებზე. **ბ**ევრჯელ ეცადენ მოწინააღმდეგენი ხელშეკრულება მოეხთინათ, მაგრამ ამაოთ.

მხოლოდ 40 წლის შემდეგ მიყუჩდენ მებრძოლნი. მათში ჩამოვარდა ზავი.

ასე დამთავრდა ,,**ო**მი **ბ**ესუსი,'' რომლის მივიწყება ვერ შესძლო საუკუნოებმა. **ა**ნდაზებშიც იგონებდენ ბედუინები ამ ომს.

,.**ო**მი ბესუსი'' მიტომ არის საყურადღებო, რომ იგი უძველეს არაბთა ყოფაცხოვრებას, მათის მებრძოლი სულის მოუსვენრობას ახასიათებს.

მომთაბარე **ბ**ედუინები **ა**რაბეთის ნახევარკუნძულის მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში ცხოვრობდენ (მთელი არაბეთი უდრის, დაახლოვებით, ევროპის მეოთხედს). **მ**ათი უმთავრესი საბინადრო კუთხე იყო სირიის განუზომელი უდაბნო, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან საზღვრავს თვით არაბეთს, და ამას გარდა შუაგულ ნახევარ-კუნძულზე აყუდებული ვაკე გორა, რომელიც გადაჭრილია რამდენიმე მთაგრეხილით. **ეს** **ა**რაბეთის ვაკეგორა აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრით თანდათან ეშვება დაბლობისაკენ კიბის საფეხურებივით და ბოლოს უსაზღვრო სივრცეზე ფართო უდაბნოთ იშლება, ხოლო დასავლეთისკენ იგი ციცაბოთ არის დაქანებული,

ამნაირათ **ა**რაბეთი, ეგ ,,**ნ**ეჯდი" (en nedschd) არაბულათ ,,მთა-გორიანი მხარე„) ყოველი მხრით შემოზღუდულს,

ჩაკეტილ მხარეს წარმოადგენს. **ა**მიტომ ისტორიას მხოლოდ ორი შემთხვევა ახსოვს, როცა ბედუინებმა გადმოლახეს თავისი ქვეყნის ბუნებრივი საზღვრები და სხვა ქვეყნებში დაიწყეს თარეში: პირველათ—**მ**აჰმადის უახლოესი მემკვიდრეების მართველობის ხანაში და მეორეთ მე-XVIII-ე საუკუნის მეორე ნახევარში, **ვ**აქაბიტების რევოლიუციის დროს, როცა მოუსვენარი ბედუინები ცეცხლითა და მახვილით მოევლინენ ქვეყანას. **თ**უმცა მაშინ მათი მოძრაობა ვალე შეჩერდა.

ნახევარი კუნძულის საზღვრებზე, სადაც უფრო საგრძნობია გავლენა მაცოცხლებელი ზღვისა, ერთი მხრით, და კულტურული ხალხებისა, მეორე მხრით,—ქოჩა არაბთა ცხოვრება უფრო რთულია. ამისთანა კუთხეებში თითქმის **მ**აჰმადის დროიდან ცთილობდენ მეფეები—მჭიდრო საფუძველზე დაეყენებიათ ორგანიზაციული ცხოვრება.

ჩრთილოეთ **ა**რაბეთში **რ**ომის იმპერიისა და **ს**პარსეთის ახალი მონარქიის (როცა **ს**ასანიდები მეფობდენ) ზედგავლენით ორი „სამეფო“ დაარსდა. **რ**ომიცა და **ს**პარსეთიც ძალიან სარგებლობდენ ბედუინთა ბრძოლისადმი მისწრაფებით. **ი**ზიდავდენ მათ თავისკენ და ნიშნავდენ სამხედრო სამსახურში. **ა**რაბთაგან შემდგარი ჯარებისგან ამ კულტურულმა სახელწიფოებმა შექმნეს ერთგვარი „სამხედრო საზღვარი“, რომელიც **რ**ომის საზღვრებს აღმოსავლეთით უზრუნველყოფდა.

ზემორეხსენებულ ორ „სამეფოში“ შესანიშნავი იყო დასავლეთის მხრით მდებარე „სამეფო“, რომელმაც **რ**ომის ისტორიაში ღრმა კვალი დასტოვა: მე-III-ე საუკ. მეორე ნახევარში ქრ. შ. დედოფალმა **ბ**ატ-**ს**ებინემ, რომელსაც რომაელები **ზ**ენობიას უწოდებდენ, თავის სატახტო ქალაქს **პ**ალმირას პირველობა მოუპოვა; **პ**ალმირა გახთა ცენტრი უდიდესი აღმოსავლეთის იმპერიისა, რომელიც გადაშლილი იყო **ე**გვიპტიდან **მ**ცირე **ა**ზიამდი.

მაგრამ ამ **ს**ამეფოს ბრწყინვალე ხანამ დიდხანს ვერ გასტანა: 273 წელს იმპერატორმა **ა**ვრელიანმა **პ**ალმირა დაანგრია და **ზ**ენობია **რ**ომს წაიყვანა ტყვეთ. მაშინ არაბები ისევ ძველ ჩვეულებას მიუბრუნდენ: გაახშირეს ომები და მიჰყვეს ხელი მტაცებლობას—**რ**ომის იმპერიისა და **ს**პარსეთის დროშას ქვეშ.

ასეთი იყო ცხოვრება ჩრდილოეთის ორი სამეფოისა მე-VII-ე საუკუნემდი. **ხ**ოლო რაც შეეხება მათ გავლენიანობას, უნდა შევნიშნოთ, რომ **ა**რაბეთის სხვა კუთხეებისათვის მათ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონიათ.

შედარებით უფრო ძლიერი იყო სამეფოები სამხრეთ **ა**რაბეთისა („ბედნიერის“ „Jemen“ *). **ა**ქაური კულტურა უძველეს დროში წარმოიშვა. **ს**აბეების სამეფოს, მაგალ., იცნობს ძველი აღთქმა; იგი იხსენება მეფე **ს**არგონის, (რომელიც ცხოვრობდა მე-VIII-ე საუკ. ქრ. წ.) ლურსმულ წარწერებშიც. **ქ**ალაქ **ი**ემენში დღესაც ინახება უძველესი მონუმენტალური შენობების ნანგრევები. **დ**ა ეს ნაშთები გვიმტკიცებს იმას, რომ აქ ოდესმე კულტურული ცხოვრება დაწყებულა, მაგრამ ამ მდიდარ კულტურას, ჩვენთვის გამოურკვეველი მიზეზებისა გამო, ფესვები ვერ გაუდგამს.

ნედჯდის ვაკე-გორასა, რომელიც წითელი ზღვის მხრით გაუვალი მთაგრეხილით თავდება, და ზღვის ნაპირს შუა—იმყოფება ე. წ. ქეჯასი („მოსაზღვრე მხარე“). **ა**ქ მთები ისე ახლოა არის ზღვასთან, რომ ზღვის ნაპირი ვიწრო ნაჭრათ მოსჩანს. **ა**მ ვიწრო კუთხეში ჰავა ცხელი და მავნებელია. **ბ**ედუინები ამ

---

*) ე. ი.—,,მარჯვენა მხარე''; უდაბნოში მყოფი არაბი, რადგანაც მზის საშვალებით იკელევდა მხარეებს, აღმოსავლეთისკენ იყურებოდა. **ა**მავე დროს სამხრეთი მისი მარჯვნით იმყოფებოდა. ამიტომ სამხრეთ არაბეთს იგი ,,მარჯვენას'' უწოდებდა—და მარჯვენა მხარე არაბთათვის ბედნიერი მხარეა.

ადგილს „დაბლობს“ (არაბულათ Tihama) უწოდებენ. ზღვის მთელ ნაპირზე მხოლოდ ორი ნავსადგურია.

თვით **ქ**ეჯასს უკავია ორი პარალელური მთაგრეხილი რომელთაგანაც ერთი გაწოლილია ზღვის ნაპირის გასწვრივ და მეორე **ნ**ეჯდისაკენ მიემართება, და კიდევ—მათ შუა მდებარე ვაკეგორა, რომელიც გადაჭრილია რამოდენიმე მთაგრეხილით. **ე**ს პრტყელი მაღლობი, პლატო, ერთადერთი გზაა ქარავნებისათვის, რომელნიც მიეშურებიან **ი**ემენიდან **პ**ალესტინას ან **ს**ინაის ნახევარი კუნძულისაკენ. **ა**მიტომ ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდი აქ გაჭრილი იყო გზა; ეს გზა იწყებოდა **ს**აბიდან; გადადიოდა **მ**აკორობასა და **ი**ატრიბაზე და პირდაპირ მიეშურებოდა **პ**ეტრისაკენ.

მაკორაბა უძველესი სახელი უნდა იყოს ახლანდელი **მ**ექისა. **ი**ატრიპა ანუ ,,**ი**ატრიბი'' ალბათ მაჰმადის დრომდი მედინას ეწოდებოდა. **დ**აახლოვებით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ამ ორ ქალაქს საყურადღებო მნიშვნელობა ეძლოდა: აქ ისვენებდენ ქარავნები.

რაც შეეხება ამ ქალაქებში მცხოვრებთ, მათზე გარკვევით არაფერი არ ვიცით. ხოლო გადმოცემათა მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქაური მკვიდრნი შერეევით ცხოვრობდენ იმ ათასგვარ უცხო ელემენტებთან, რომელნიც აქ ჩრდილოეთიდან მომდინარეობდენ.

ჯერ კიდევ მაჰმადის დრომდი ქეჯასის ჩრდილო ნაწილი ეკავათ ებრაელებს. მოციქულის (მაჰმადის) მოღვაწეობამდი ფიქრობდენ, თითქო **მ**ექის საკურთხეველი **ა**ბრაამის დაარსებული ყოფილიყოს. **ა**მას ისიც დავუმატოთ, რომ იმ პირთა ან კუთხეთა სახელები, რომელიც გვხვდება ჩვენი მოთხრობის ამ ნაწილში, არ შეიძლება აიხსნას არაბული ენით,

ყველა ეს მოწმობს, რომ კოლონიზაცია სირიის საზღვრებიდან ძალიან ადრე დაწყებულა, ხოლო ამ კოლონისტთა ნაციონალურ განსაკუთრებულობაზე არაფერი გარკვეული არ

ითქმის. **ი**ს კი უეჭველია, რომ როგორც უკვე ვსთქვით, პირველი აქაური ბინადრები არეული უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთში და ბოლოს თანდათანობით არაბული ენა და ზნე-ჩვეულება უნდა შეესისხლხორცებიათ, და ამნაირათ მათ შორის უნდა გავრცელებულიყო არაბული კულტურა.

ამ ხალხების ცენტრალური ბინა იყო ქ. **მ**ექა. **ი**ქ უუძველეს დროიდანვე არსებობდა საკურთხეველი, რომელსაც სრულიად არ ჰქონდა არაბული ხასიათი, თუმცა, როგორც ჩანს **ს**აბერძნეთის მწერლის **დ**იოდორეს (1 საუკ. ქრ. შ.) სიტყვებიდან, იგი ,,ყოველი არაბისმიერ თაყვანის იცემებოდის და იდიდებოდის''. **ე**ს იყო **კ**ა**აბ**ა.

ისტორიკოსებმა დაკვირებასა და ძიებას შემდეგ გამოარკვიეს ის საკითხი, თუ როგორ მიეცა **კ**ააბას თვისი დიადი მნიშვნელობა.

ჭ. **მ**ექა მდებარეობს საკმაოთ ახლოს როგორც საბეების ძველი სამეფოს საზღვრებიდან, აგრეთვე ცენტრალური არაბეთის ქოჩა ხალხის ბანაკებიდანაც. **მ**ექასა და მის მახლობელ კუთხეებში მცხოვრებთა უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა — დაცვა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ქარავნებისა ამ ,,უდაბნოს შვილთა'' მტაცებლობისაგან, ვინაიდგან ბედუინებს ყოველთვის შეეძლოთ ვაჭრების დასარბევათ, პლატოებიდან სავაჭრო გზებზე დაშვებულიყვნენ.

ასეთი შემთხვევებისაგან რომ უზრუნველეყოთ თვისი ბედი, ვაჭრები მუდამ ეცდებოდენ, თვისი ვაჭრობა ისეთი წმინდა ადგილისთვის დაექვემდებარებიათ, რომელიც ბედუინთათვის უცხო და, სწორეთ ამ მიზეზით, ყველაზე უფრო საშიში იქნებოდა. **ბ**ედუინები მართლაც დიდ მნიშვნელობას აძლევდენ **კ**ააბას და მის მფარველობას ქვეშ მყოფ ვაჭრებსაც მეტი სიფრთხილით ეპყრობოდენ.

დრო გადიოდა, და ქეჯასის ტომები უფრო და უფრო უკვირდებოდენ ამ საყურადღებო გარემოებას: წმინდა **კ**ააბა

იკავდა ვაჭრობას. **დ**ა მაშინ ვაჭრობა მათი იდეალი შეიქმნა. **მ**ათ დააარსეს კავშირი, რომელმაც მიზნათ ვაჭრობა დაისახა და რომელსაც საფუძვლათ **ქ**

სუფევდა. ამ მოკლე პერიოდში ყველა ტომის წარმომადგენელი მიეშურებოდა მექას; იქ თავის საქმეს აკეთებდა და შინ უვნებელი ბრუნდებოდა.

უცხო ტომის ხალხებისთვის ბაზრობას გარდა დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ქააბაში მსხვერპლის შეწირვის ბრწყინვალე პროცესიც. ისინი ხედავდენ აქ დღესასწაულის თავისებურ ცერემონიას და დარწმუნებული იყვნენ, მექელები სწორეთ ასეთი სათნოებისა და ასეთი კეთილმსახურებისათვის არიან მაღლით დალოცვილნიო; რომ ღვთის განგებით ისინი მდიდრდებიან და ყოველ საქმეში გამარჯვებული რჩებიანო. და მალე მათაც დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ ესარგებლათ თვითონაც ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობით.

თანდათანობით შეუთვისდენ ისინი მექელებს, რომელთა კულტიც თავის კულტათ დაისახეს. ჯკვიანმა ვაჭრებმა ამ საქმის განვითარებას, რასაკვირველია, ხელი შეუწყვეს: ქააბასა და მის ახლო კუთხეებში მოათავსეს სხვადასხვა ტომის კერპები. ასე მიაღწიეს მათ მიზანს.

ამას შემდეგ ყოველი არაბი, თუკი იგი ძალიან დაშორებული არ იყო მექას, იმდენათ შეეჩვია ქააბას, რომ მასში თავის საკურთხეველს სჭვრეტდა და ქააბის ღმერთი თავის ღვთაებათ მიაჩნდა.

ამნაირათ, როცა საბეების სამეფომ ველარ შესძლო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზის დაცვა, ეს საჭიროება უთუოდ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოქალაქობრივი წესწყობილების მიერ. ასეთმა გარეგნობამ ქ. მექა გახადა არა მარტო ჭეჯასის, თითქმის მთელი არაბეთის პირველ ქალაქათ.

არაბეთის პოეზია.

არაბეთში დაუბოლოებელი ომები იყო; ასეული ტომი ერთმანეთს ებრძოდა. **ა**მიტომ მთელი **ა**რაბეთი დანაწილდა წვრილ სამეფო-სამთავროებათ. მიუხედავათ ამ დაქუცმაცებისა, არაბებს კარგათ შეეგნოთ, რომ მებრძოლი მოწინააღმდეგენი მაინც ერთს განუყოფელ ერს შეადგენდენ. **ა**მ ეროვნულმა თვითშეგნებამ არაბეთში გაიღვიძა ძალიან ადრე **მ**აჰმადის დრომდი და **მ**აჰმადმაც ბოლოს მათი გარეგნული გაერთიანება მოახთინა, ხოლო—ისიც ცოტა ხნით.

როგორც ბერძნებს, ისე არაბებსაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ის აზრი, რომ სხვა ხალხები, რომლებიც არაბულ ენაზე არ ლაპარაკობდენ, წარმოადგენდენ არაბთა მოწინააღმდეგე მხარეს. **ყ**ველა, ვინც კი სხვა ენაზე ლაპარაკობდა, არაბისათვის ბარბაროსი იყო,—და ასეთ ადამიანს ბედუინები უნდობლობითა და მტრობით ეპყრობოდენ; თითქმის ზიზღსაც უცხადებდენ.

სიამაყე შთამომავლობითა და სისხლის სიწმინდით, რომელსაც თანამედროვე არაბი განიცთის, უძველეს დროშიც ამხნევებდა და აგულიანებდა არა მარტო კერძო პიროვნებას ან ტომს, არამედ **ა**რაბეთის მთელ ერსაც.

და სწორეთ **ენა**ში მთელი თავისი ძლიერებით გამოიხატა ნაციონალური ერთობა არაბებისა. **ე**ს ენა, რომელსაც სიმდიდრისა, მეტყველებისა და მხატვრობის მხრით ბადალი არ ჰყავს ქვეყანაზე, საუკეთესო იარაღი იყო არაბული პოეზიისა; და ამ პოეზიამ მჭიდრო სულიერი კავშირი გაბა არაბთა დანაწილებულ ტომებს შორის.

არაბს არათუ უყვარს პოეზია,—იგი მით ცოცხლობს. **ა**რც ერთი ეროვნება ქვეყნისა ისე არ ზრუნავს გამოთქმის სიწმინდესა და სილამაზეზე, თუნდა უბრალო საუბარშიაც კი, როგორც არაბი. **ა**რსად,—იმ გამონაკლისს გარდა, რომელ-

საც შეადგენდა Ათინა თავის ბრწყინვალე ეპოქაში, — პოეზია არ ყოფილა საზოგადო ინტერესების მთავარ საგნათ, მთელი ხალხის მამოძრავებელ ძალათ, როგორც ეს Არაბეთში იყო.

Არაბული პოეზია ხატებაა ცხოვრების ცოტაოდენ საყურადღებო მოვლენისაც კი. Თითქმის ყოველდღიური რამე — შემთხვევას აძლევდა არაბს — ცხოვრებაში ჩაკვირვებისგან გამოწვეული ფიქრები, სიყვარული, ან მძულვარება — და ყველაზე ადრე — ამაყური კმაყოფილება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა — ყველა ეს მისი გულის ნადები პოეტურათ გამოეთქვა, ლექსებში ჩამოესხა.

Იქ, სადაც ყველა პოეტია, სადაც ყველას გაუგია და დაუფასებია პოეზია, — სიმღერა, ლექსი, ცხოვრების სამკაული კი არაა; იქ იგი თვით ცხოვრების შინაარსია.

Არაბის თვალში პოეტი და გმირი ერთგვარ სიმაღლემდი ასულან. Თუ პოეტს ლექსების წერით ისეთი პატივისცემა დაუმსახურებია, რომ მის ოჯახს დიდი თავაზიანობით ეპყრობიან მთელ საზოგადოებაში, — გმირსაც თავისი ღვაწლით არა ნაკლები ყურადღება მოუპოებია: მის ოჯახსაც, როგორც რომელიმე პოეტის ოჯახს, სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან არაბები.

ხოლო თუ კი ადამიანი ერთსა და იმავე დროს პოეტიც არის და გმირიც, მას — არაბთა შეხედულობით — თავისუფლი შეუძლია თქვას — დიახ, მე უკვე მივაღწიე ამ ქვეყნიური დიდების უმაღლეს საფეხურსო.

Აქ უადგილოა დაწვრილებით ახსნა-განმარტება არაბული პოეზიის ხასიათისა და მისი არსებითი მნიშვნელობისა. ხოლო აუცილებლათ საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ ის შემცთარი აზრი, რომელიც დღეს ძალიან გავრცელებულია; აღსანიშნავია ეს შეცთომა იმიტომ, რომ მისი გავლენით ჩვენი წარმოდგენა ამ ფრიად დიდებული ხალხის ნაციონალურ განსაკუთრებულობაზე და,

მაშასადამე, მთელს მის ისტორიაზე—დამახინჯებული იქმნება.

ᲕᲘᲜᲪ სპეციალურათ არ სწავლობს ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ლიტერატურას საზოგადოთ, ადვილათ შესაძლოა—მან ერთმანეთში აურიოს არაბთა უუძველესის და უუგვიანესი ეპოქის პოეზია, რომელიც ᲐᲑᲐᲡᲘᲓᲔᲑᲘᲡ ხანაში წარმოშვა სპარსეთის გავლენამ და რომელმაც სასახლის პოეზიის ხასიათი მიიღო.

„ᲐᲒᲖᲜᲔᲑᲣᲚᲘ ფანტაზია“, „აღმოსავლეთური ზვაობა“—აი სპარსელების დამახასიათებელი ორი მცნება. ᲐᲠᲐᲑᲡ კი „ფანტაზია“—იმ მნიშვნელობით, როგორსაც ჩვენ ვაძლევთ ხოლმე ამ სიტყვას—ძალიან ვიწრო აქვს. ᲐᲠᲐᲑᲘ ბუნებით ფხიზელი, მოანგარიშე, ყველაფრის აᲬᲬᲝᲜᲘ სკეპტიკია. ᲮᲝᲚᲝ მთასა და ველში ცხოვრებას მასში არაჩვეულებრივათ გაუნაზებია გრძნობები; იგი მიუჩვევია გარემო ბუნების დაკვირვებას.

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ აღწერა ნაზია და სათუთი; ფერადებით იგი მდიდარია და მახვილგონიერი გამოთქმებით შეუდარებელი; მაგრამ ამ აღწერის მთავარი საგანი ყოველთვის რეალურია.

ᲐᲠᲐᲑᲘ უგალობს თავის ფეხმარდ აქლემს ან ერთგულ ცხენს; ადიდებს ნადირობას ან მთა-ბარში მქროლ გრიგალს; დამღერის თავის სატრფოს სილამაზეს.

ᲔᲠᲗᲘ სიტყვით, მისი გალობის საგანია ყველაფერი ის, რაც მას ცხოვრებაში შემთხვევია და რასაც იგი ჩაუფიქრებია.

ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ სენტიმენტალობა, ღრმა და ძლიერი სულიერი მოძრაობა—ვერასოდეს ვერ ააჟღერებს პოეტი არაბის ჩანგსა.

ᲔᲞᲝᲡᲡᲐ და დრამას არაბულ ლიტერატურაში ნიადაგი არ აქვს; არ აქვს ისე, როგორც, საზოგადოთ, სემიტური მოდგმის ხალხების მწერლობაშიც.

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ სიმღერა არის, ესე ვსთქვათ, „ლექსი შემთხვევაზე“.

ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ მეუდაბნოე არაბის ცხოვრება ჩვენთვის სრულიად უცხოა, მისი პოეზიაც, ნახატი ამ ცხოვრებისა, ჩვენს გულს ვერ ეკარება.

ᲨᲘᲡᲐᲪ ᲐᲥᲚᲔᲛᲘ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲘᲛᲝᲓᲔᲜᲐᲗ, ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲐᲗᲐᲪ ᲫᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲚᲘᲡ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲡ, ᲛᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲘᲐᲧᲕᲘᲜᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ „ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲡ ᲜᲐᲕᲘ“ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲒᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲑᲐᲓᲚᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲒᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲗᲔᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, —ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲗ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡ.

ᲐᲠᲘᲡ ᲮᲚᲛᲔᲯ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲗᲐᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲕᲪᲗᲘᲚᲝᲑᲗ—ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲗ ᲨᲔᲕᲣᲗᲕᲘᲡᲓᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲡ: ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲦᲔᲠᲐᲨᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲕᲜᲔᲑᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲛᲫᲣᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ, ᲖᲕᲐᲛᲑᲐ, ᲐᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐᲐ ᲩᲐᲜᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲙᲚᲐᲕ ᲔᲠᲘᲒᲠᲐᲛᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲔᲠᲘᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲠᲐᲐ ᲤᲐᲥᲘᲠᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲘᲐ.

ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ ᲡᲘᲫᲐᲒᲣᲙᲔ.

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 570 ᲬᲔᲚᲨᲘ (ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ[1]) ᲛᲔᲥᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲐᲑᲓᲐᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘ[2]). ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲙᲢᲔᲡᲘᲤᲝᲜᲨᲘ ᲛᲔᲤᲔ ᲰᲝᲖᲠᲝᲠᲝᲗ ᲜᲐᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲓᲐᲠᲣᲔᲣᲚᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲠᲐ ᲛᲝᲛᲮᲗᲐᲠᲘᲧᲝᲡ, ᲓᲐ ᲩᲐᲛᲥᲠᲐᲚᲐ ᲡᲐᲠᲗᲡᲗᲐ ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲐᲗ ᲔᲜᲗᲝ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ

---

[1]) ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲗ ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲔᲡ 571 ᲬᲚ. 20 Ა�პᲠᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲐᲠᲐᲐ.

[2]) ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓᲘ.

ეს მსოფლიო ხასიათის შემთხვევა ასეთი სასწაულით აღინიშნა. ხოლო, რომ თვით მექაში მომხდარიყოს რამე ამისთანა, ლეგენდას არ ახსოვს; და, რასაკვირველია, ახლო ნათესავებს გარდა, სრულიად არავის არ აინტერესებდა, რომ ამინამ, სოჰრის ოჯახის წევრის ვაჰბის ქალიშვილმა, შვა ბავში.

მოციქულის დედა ძალიან ღარიბათ ცხოვრობდა, რადგანაც ადრე დაქვრივდა. მისი ქმარი აბდალი, აბდ-ალ-მუთალიბის შვილი, ჰაშიმის გვარისა, ღარიბი ვაჭარი იყო. აბდალი, მაშინვე, როგორაც იქორწილა, სირიისკენ მიმავალ ქარავანს წაყვა გაზას კერძო საქმეებისათვის. როცა ბრუნდებოდა, ავათ გახდა მგზავრობის დროს, იატრიბაში ჩამოხტა და მალე მიიცვალა.

ვაჟის დაბადებას იგი ვერ მოესწრო.

აბდალისგან დატოვებული სამემკვიდრო ქონება, ხუთი აქლემი, თხის ჯოგი და ერთიც მხევალი, სახელი მისი ომ-ეიმანი, ყველა ეს ვერ იხსნიდა ქვრივ ამინას სიღატაკისგან.

ეს უმეტოთ ძნელი დასაჯერებელია, თითქო იმას თავისი შვილი გაებარებიოს, როგორც ეს ჩვეულებათ შემოიღეს ბოლოს ქალაქელმა მდიდარმა ქალებმა, ვიღაც ბედუინის ცოლთან სოფლათ იმ მოსაზრებით, რომ ბავში წმინდა ჰაერში გაზრდილიყო და საღი და ჯანიანი ყოფილიყო.

თუმცა გადმოცემა დაბეჯითებით ამბობს ამას და თანაც უმატებს, რომ ბოლოს, როცა მაჰმადმა დაიპყრო მთელი ტომი, რომელსაც მისი ძიძა ეკუთნოდა, მოციქული არაჩვეულებრივი ლმობიერებით მოეპყრო დაპყრობილებს მხოლოდ ძიძის პატივისცემის ნიშნათო, მაგრამ ყველა ეს, როგორც სხვა ამბებიც, მაჰმადის ბავშობის შესახებ მოთხრობილი, იმის მაჩვენებელია, რომ მაჰმადის მიმდევრებს უნდოდათ ყველასათვის ემცნოთ—ჩვენი მოციქული კეთილშობილთა შთამომავლობისაო. ბევრია, რასაკვირველია, სხვა ლეგენდებიც, რომელთა გადმოცემით მომავალი მოციქულის სიყრმე და სიჭაბუკე მდიდარი ~~ყოფილა ათასგვარი~~ სასწაულებითა.

მაგრამ ჩვენთვის სრულიად საკმაოა მაგალითად მოვიყვანოთ ერთი მათგანი; ეს ლეგენდა საშვალებას მოგვცემს—ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მხრივ გადმოცემის განვითარებაზე.

,,**ე**რთხელ მოციქული სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობდაო,—მოგვითხრობს ეს ლეგენდა,—მოვიდა მთავარანგელოზი **გ**აბრიელი, სტაცა მას ხელი, გაუჭრა მას სხეული, ამოგლიჯა შიგნიდან ნაჭერი ხორცი სისხლიანათ, გადაისროლა შორს და სთქვა:—ეს მაცთურის ნაწილიაო. **შ**ემდეგ გამოურეცხა **მ**აჰმადს შიგნეულობა **ზ**ემზემის ჭის წყლით, რომელიც ოქროს თასით მოიტანა ანგელოზმა,—და სხეული იგი ისევ გაამთელა. **ა**მის მნახველი ბავშვები გამზრდელთან გაიქცენ ყვირილით:—**მ**აჰმადი მოკლესო;—გამზრდელი საჩქაროთ გაეშურა იქით, სადაც ეს ამბავი მოხთა,—და გაფითრებული მაჰმადი ნახა.

,,**ჩ**ვენ თვითონ გვინახავს იარა მის მკერდზეო''—დასძენს ამის მოამბე. **თ**ავისთავათ ცხადია, რომ ეს ამბავი განზრახაა მოთხრობილი სწორეთ ისეთი კაცის პირით, რომელსაც როგორც თავისი თვალით მნახველს შეეძლო მისი მოთხრობა. **ე**ს ერთი იმ შემთხვევათაგანია, რომელიც გვინათებს საკითხს, თუ როგორ წარმოიშვება ხოლმე ასეთი ლეგენდა. **მ**აჰმადი მოგვითხრობს **ყ**ორანში (სურა 94, 1), თითქო **ღ**მერთი ასეთი სიტყვებით ანუგეშებდა მას:—განა ჩვენ არ გაგიხსენით შენ გულიო?—ე. ი. (რადგანაც, არაბის ფიქრით, ყოველივე ზრუნვა და კაეშანი გულში იბადება) განა მე არ გიხსენი შენ ყოველნაირი გასაჭირისა და მწუხარებისგანო?

შემდეგში ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს, და ვინაიდან ცთილობდენ—აეხსნათ იგი, აზრათ მოუვიდათ: უთუოდ გულის გახსნა იყო საუკეთესო საშვალება **მ**აჰმადის პირველიყოფილი ცოდვისგან ხსნისთვისო. **რ**ომ გაწმენ-

და უნდა მოეხდინა მაჰმადის სპეციალურ ანგელოზს — ზაბრიელს, ეს თავისთავად ცხადია, და, რასაკვირველია, ამისთვის საჭირო იყო ღვთისაგან კურთხეულის ზემზემის ჭის წყალიც: რომ ანგელოზმა ოქროსი და არა ბრილიანტის თასი მოითხოვა, ეს მხოლოდ ზედმეტი თავდაჭერილობის ნიშანია.

მაჰმადის დედა მალე გადაიცვალა: ისიც თვისი ქმარივით მგზავრობის დროს მოკვდა. მხევალმა ომემანმა ობოლი ბავში მისს 80 წლის ბიძას აბდელ-მუთალიბს წაუყვანა. მოხუცს ძალიან უყვარდა პატარა მაჰმადი და ძალიანაც ანებივრებდა მას — მაგრამ ბავშის გაზრდას მაინც ვერ მოესწრო: ორ წელიწადში იგი მოკვდა. ბავშის მზრუნველობა იკისრა აბდ-ელ-მუთალიბის ერთერთმა შვილმა აბუ-თალიბმა. ეგ იყო შესანიშნავი პიროვნება მოციქულის ბიოგრაფიაში: ცნობილი როგორც მართალი და კეთილი ადამიანი. მაგრამ ღარიბი იყო და ოჯახიც დიდი ჰქონდა: ჰყავდა ორი ცოლი და ათი შვილი. ამის მოწმეა ყველგან გავრცელებული გადმოცემა. მაჰმადი არ იყო უზრუნველყოფილი. მას ბავშობიდანვე თვითონ უნდა ეფიქრა სარჩოს მოპოვებაზე: მწყსიდა მდიდარი მექელების ჯოგებს და ქალაქის მიდამოებში აგროვებდა ხეხილთა და ბუჩქნარეაა ნაყოფს. ლეგენდებში მაჰმადის ცხოვრების ეს პერიოდიც ვერაა ნათლად ნაჩვენები. პირველი ეჭვმიუდგომელი ფაკტი ეკუთვნის მხოლოდ იმ ხანას, როცა მაჰმადი უკვე ოცდათხი წლის იყო. ამ დროს იგი ემსახურებოდა ხადიჯას. მდიდარი ვაჭრის ქვრივს. ალბათ სიღარიბე არ აძლევდა მას ნებას, რომ საკუთრათ მოეწყო ვაჭრობა.

არაბეთში ისლამამდი ქალის მდგომარეობა გაცილებით უკეთეს პირობებში იყო, ვიდრე ახლაა იგი მუსულმანური აღმოსავლეთის ხალხებში. ქალს მაშინ არავინ არ აიძულებდა — თავიდან ფეხებამდი გახვეული ეარა; საზოგადო ჩვეულებისამებრ მისი პიროვნება სრულიად დამოუკიდებლათ იყო აღსარებუ-

ლი. **მ**ამის უფლება ოჯახში უფრო აუტანელ ტვირთს არ წარმოადგენდა ქალისათვის, ვიდრე ვაჟისთვის, და თუ ქმარი სარგებლობდა განქორწინების სრული უფლებით, ცოლსაც შეეძლო განსაზღვრულ შემთხვევებში ქმრის წინაც დაეხშო თავისი კარვის კარები. **უ**ფრო კი ქვრივები სარგებლობდენ თითქმის შეუზღუდველი თავისუფლებით, თუ-კი მათ ქონება საშვალებას აძლევდა — ნათესავთაგან დამოუკიდებლათ ეცხოვრათ. **მ**იუხედავათ იმისა, რომ **ხ**ადიჯას მამა **ჰ**ოვეილიდი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ქალი თვითონ განაგებდა ვაჭრობას. **ე**ს პროფესია მას სამემკვიდროთ დარჩა ორი ქმრისაგან. **ი**მ შემთხვევაში, როცა საზღვარგარეთ გამგზავრება იყო საჭირო, ქვრივი იქ თავის სანდო კაცს გზავნიდა საქმეებისათვის; ეს უკანასკნელი მექელთა ქარავნებთან ერთად - გაემგზავრებოდა ხოლმე თავისი აქლემებით **ს**ირიას ან სამხრეთ **ა**რაბეთს.

მაჰმადი, სხვათა შორის, ამ სანდო კაცის როლს კი არ ასრულებდა პირველათ; მისი თანამდებობა ძალიან უმნიშვნელო იყო: იგი ითვლებოდა აქლემების უბრალო გამრეკათ. **უ**ველ შემთხვევაში, ხადიჯასთან მსახურობის დროს, ისიც გამგზავრებულა სამხრეთისაკენ; და ვინ იცის, შეიძლება მას ამ მგზავრობის დროს ბოსტრას ნახვაც მოუხდა. **ბ**ოსტრა იყო **ბ**იძანტიის უმთავრესი ციხე-სიმაგრე, **ი**ორდანის აღმოსავლეთით, სადაც განთქმული ბაზრობა იცოდენ: აქ ყიდდენ უმთავრესათ პურს. **ა**რაბებიც სავაჭროთ მიდიოდენ იქ. **მ**აგრამ **მ**აჰმადის ბედი მალე იცვალა: **ხ**ადიჯა უკვე ოცდაათი წლის შესრულდა. **მ**ას ორი ქმრისაგან დარჩენოდა სამი ბავში; მაგრამ ეს ქალი მესამე ქორწინების წინააღმდეგი მაინც არ იყო. **ბ**ადმოცემით, მას ბევრი სთხოვდა ხელს. **ხ**ადიჯა კი უკვე დიდი ხანი იყო, რაც **მ**აჰმადისადმი სიმპატიას გრძნობდა და ცოლათაც სწორეთ მას გაყვა, მიუხედავათ იმისა, რომ მამაცა და სხვა ნათესავებიც ამ ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ. **მ**აჰმადს ამ ქორწი-

ნებით მარტო გამდიდრების მიზანი კი არ ჰქონდა დასახული, როგორც ეს გვიჩვენა მისმა ცხოვრებამ: იგი ცოლს ყოველთვის ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა; ხადიჯაც მუდამ მისი ერთგული მეგობარი დარჩა. ამნაირათ, მათი ოჯახური ცხოვრება უფრო უმწიკვლო იყო, რამდენათაც ჩვენ ეს ვიცით, ვიდრე სხვა რომელიმე ქრისტიანისა.

მაჰმადის რელიგიური შეხედულებანი.

მაჰმადი, სანამ იგი ახალი მოძღვრების მამათ-მთავარი შეიქმნებოდა, თანამოძმეების რელიგიურ შეხედულებას თვითონაც იზიარებდა. ამ ჭეშმარიტებას ბევრი დამტკიცება არ უნდა. მისი შვილის სახელი—აბდ-მენაფი (მონა მენაფისა), რომლის ჩვენამდი მოღწევაც გადმოცემის წინდაუხედაობით უნდა აიხსნას, საბოლოოთ ნათელჰყოფს ამ დებულებას. „მენაფი“ იყო წარმართთა ერთი იმ ღმერთთაგანი, რომელთა კერპებიც ქააბაში იდგა. ეს კერპები ბოლოს თვითონ მაჰმადმა გამოყარა გარეთ.

და ვინაიდან მაჰმადის შვილისათვის სათაკილო იყო ასეთი სახელწოდება, ამიტომ გადმოცემა ცთილობდა—ეგ სახელწოდება შეეცვალა სხვა სახელებით (აბდალახი—„მონა ალახისა“, ეტ-ტაფირი—„კეთილი“, ეტ-ტაგირი—„წმინდა“), ხოლო ერთ შემთხვევაში მას უნებურათ წამოცთა მაინც ეგ სახელი. საჭიროა, რასაკვირველია, დავუმატოთ ისიც, რომ ძველი „რელიგიური შეხედულება“ არაბებისა, რომელსაც ალბათ მაჰმადი იზიარებდა, არც კი იყო ღირსი ამ დიდი სახელწოდებისა. ჩვენ ცოტა ვიცით არაბთა რელიგიის შესახებ მაჰმადის დრომდი, მაგრამ, რაც ვიცით, ისიც საკმაოთ გვამცნობს, რომ არაბთა წარმოდგენა ღვთაებაზე, ისედაც საკმაოთ სუსტი, მაჰმადის დროს, ერთბაშათ მიბნელდა. ყოველ ტომს ჰყავდა თავისი ღმერთი

ლი. მამის უფლება ოჯახში უფრო აუტანელ ტვირთს არ წარმოადგენდა ქალისათვის, ვიდრე ვაჟისთვის, და თუ ქმარი სარგებლობდა განქორწინების სრული უფლებით, ცოლსაც შეეძლო განსაზღვრულ შემთხვევებში ქმრის წინაც დაეხშო თავისი კარვის კარები. უფრო კი ქვრივები სარგებლობდენ თითქმის შეუზღუდველი თავისუფლებით, თუ-კი მათ ქონება საშვალებას აძლევდა—ნათესავთაგან დამოუკიდებლათ ეცხოვრათ. მიუხედავათ იმისა, რომ ხადიჯას მამა ჰოვეილიდი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ქალი თვითონ განაგებდა ვაჭრობას. ეს პროფესია მას სამემკვიდროთ დარჩა ორი ქმრისაგან. იმ შემთხვევაში, როცა საზღვარგარეთ გამგზავრება იყო საჭირო, ქვრივი იქ თავის სანდო კაცს გზავნიდა საქმეებისათვის; ეს უკანასკნელი მექელთა ქარავნებთან ერთად - გაემგზავრებოდა ხოლმე თავისი აქლემებით სირიას ან სამხრეთ არაბეთს.

მაჰმადი, სხვათა შორის, ამ სანდო კაცის როლს კი არ ასრულებდა პირველათ; მისი თანამდებობა ძალიან უმნიშვნელო იყო: იგი ითვლებოდა აქლემების უბრალო გამრეკათ. უოველ შემთხვევაში, ხადიჯასთან მსახურობის დროს, ისიც გამგზავრებულა სამხრეთისაკენ; და ვინ იცის, შეიძლება მას ამ მგზავრობის დროს ბოსტრას ნახვაც მოუხდა. ბოსტრა იყო ბიძანტიის უმთავრესი ციხე-სიმაგრე, ბორდანის აღმოსავლეთით, სადაც განთქმული ბაზრობა იცოდენ: აქ ყიდდენ უმთავრესათ პურს. არაბებიც სავაჭროთ მიდიოდენ იქ. მაგრამ მაჰმადის ბედი მალე იცვალა: ხადიჯა უკვე ოცდაათი წლის შესრულდა. მას ორი ქმრისაგან დარჩენოდა სამი ბავშვი; მაგრამ ეს ქალი მესამე ქორწინების წინააღმდეგი მაინც არ იყო. ბადმოცემით, მას ბევრი სთხოვდა ხელს. ხადიჯა კი უკვე დიდი ხანი იყო, რაც მაჰმადისადმი სიმპატიას გრძნობდა და ცოლათაც სწორეთ მას გაყვა, მიუხედავათ იმისა, რომ მამაცა და სხვა ნათესავებიც ამ ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ. მაჰმადს ამ ქორწი-

ნებით მარტო გამდიდრების მიზანი კი არ ჰქონდა დასახული, როგორც ეს გვიჩვენა მისმა ცხოვრებამ: იგი ცოლს ყოველთვის ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა; ხადიჯაც მუდამ მისი ერთგული მეგობარი დარჩა. Ამნაირათ, მათი ოჯახური ცხოვრება უფრო უმწიკვლო იყო, რამდენათაც ჩვენ ეს ვიცით, ვიდრე სხვა რომელიმე ქრისტიანისა.

ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘ, სანამ იგი ახალი მოძღვრების მამათ-მთავარი შეიქმნებოდა, თანამოძმეების რელიგიურ შეხედულებას თვითონაც იზიარებდა. ᲐᲛ ჭეშმარიტებას ბევრი დამტკიცება არ უნდა. ᲛᲘᲡᲘ შვილის სახელი—ᲐᲑᲓ-ᲛᲔᲜᲐᲤᲘ (მონა ᲛᲔᲜᲐᲤᲘᲡᲐ), რომლის ჩვენამდი მოღწევაც გადმოცემის წინდაუხედაობით უნდა აიხსნას, საბოლოოთ ნათელჰყოფს ამ დებულებას. „ᲛᲔᲜᲐᲤᲘ“ იყო წარმართთა ერთი იმ ღმერთთაგანი, რომელთა კერპებიც ᲥᲐᲐᲑᲐᲨᲘ იდგა. ᲔᲡ კერპები ბოლოს თვითონ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲛᲐ გამოყარა გარეთ.

ᲓᲐ ვინაიდან ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ შვილისათვის სათაკილო იყო ასეთი სახელწოდება, ამიტომ გადმოცემა ცთილობდა—ეგ სახელწოდება შეეცვალა სხვა სახელებით (ᲐᲑᲓᲐᲚᲐᲰᲘ—„მონა ᲐᲚᲐᲰᲘᲡᲐ“, ᲔᲢ-ᲢᲐᲤᲘᲠᲘ—„კეთილი“, ᲔᲢ-ᲢᲐᲒᲘᲠᲘ—„წმინდა“), ხოლო ერთ შემთხვევაში მას უნებურათ წამოცთა მაინც ეგ სახელი. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, რასაკვირველია, დავუმატოთ ისიც, რომ ძველი „რელიგიური შეხედულება“ არაბებისა, რომელსაც ალბათ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘ იზიარებდა, არც კი იყო ღირსი ამ დიდი სახელწოდებისა. ᲩᲕᲔᲜ ცოტა ვიცით არაბთა რელიგიის შესახებ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ დრომდი. მაგრამ, რაც ვიცით, ისიც საკმაოთ გვამცნობს, რომ არაბთა წარმოდგენა ღვთაებაზე, ისედაც საკმაოთ სუსტი, ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ დროს, ერთბაშათ მიბნელდა. ᲧᲝᲕᲔᲚ ტომს ჰყავდა თავისი ღმერთი

და კერპი ამ ღმერთისა. მაგრამ ამ ღმერთებთან ერთად მნიშვნელობა შერჩათ ძველი ეპოქის ფეტიშებსაც*), საღვთო ხეებს, წყაროებს და სხვათა, რომელთა თაყვანისცემაც გავრცელებული იყო უძველეს ხანაში. ამ რელიგიაში, რომელსაც სატომო ხასიათი ჰქონდა, ოდნავ შერეული იყო გამკრთალფერებული ელემენტები ძველი-ბაბილონურისა და შეიძლება ძველი-ებრაული რელიგიისაც. ზოგ ადგილებში, ხოლო ყოვლის უწინარეს თვით მექაში, სხვადასხვა მიზნით ცდილობდენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამოდენიმე ტომის კულტის გაერთიანებას. ამასთანავე გაწყდა ყოველივე სულიერი კავშირი ღვთაებასა და მის მსახურთ შორის; რომელიმე კულტი მხოლოდ ჩვეულების ძალით თუ იყო აღიარებული; ამ კულტში რელიგიური შინაარსის კვალიც კი გაქრა. არაა საკვირველი, თუ ამასთან ერთად ბევრი დღესასწულისა და ჩვეულების მნიშვნელობაც მივიწყდა ერთიანათ.

გაზაფხულის დღესასწაული, მაგალითად, რომელზეც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, უკვე მაჰმადის დროს გაუგებარი და უაზრო შეიქმნა არაბთათვის. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ არაბთა ღვთისმეტყველნი პირვანდელი ნაწერებიდან ამოღებულ ცნობებს ხეირიანათ ვერ ხსნიდნენ, და მათი განმარტება ყოველთვის არეულ-დარეული იყო. თუ მექელები დიდი ყურადღებით ეპყრობოდენ ამ დღესასწაულს, ეს რელიგიური რწმენით კი არ აიხსნება: მათი მამოძრავებელი ძალა იყო კომერციული ინტერესები, როგორც ეს ზევითაა ნაჩვენები. მართალია, ისლამის ისტორია გვაუწყებს, ზოგიერთ მოხეტიალე ტომს რელიგიური მისწრაფებანი განუვითარებელი სახით შერჩათო, მაგრამ უმეტეს ნაწილათ ასეთი მისწრაფებანი მაინც შეუფერე-

---

*) საგანი, რომელსაც, ველურთა წარმოდგენით, სასწაულ-მომქმედი ძალა აქვს.

ბელი იყო ამ ფხიზელისა და მოანგარიშე რასისათვის. **ა**ხლანდელი ბედუინიც მხოლოდ გარეგნობითაა მაჰმადიანი.

მაჰმადის მოღვაწეობის შედეგი გვიჩვენებს, რომ იგი არ ყოფილა ისეთი. როგორიც ბევრი მისი თანამოძმე იყო. **ი**ს, ვინც იმისებურათ იძულებული იყო ემოგზაურა ხან სამხრეთისკენ **ი**ემენში, ხან შორეულ **ს**ირიაში, იგი უნებლიეთ გაეცნობოდა უცხოელთა რელიგიურ პრინციპებსა და კულტს. **ა**დვილი შესაძლებელია, **მ**აჰმადმა ამ მხარეებში ნახა ქრისტიანები, რომელთაც მასზე რამოდენათმე შთაბეჭდილება მოახდინეს. მით უფრო არის ეს შესაძლებელი, რომ თვით **მ**ექაშიც ხდებოდა ამ მხრივ საყურადღებო შემთხვევები.

ძველის, სატომო ხასიათის რელიგიის დაცემა უკვე აღსარებული იყო უფრო გამჭრიახი არაბებისაგან: **მ**აჰმადს პირველათ კიარ დაბადებია სარწმუნოების გაუმჯობესობის სურვილი. ჩრდილო **ა**რაბეთში გაბნეულის ქრისტიანი სეკტანტების მოწაფეები ხშირათ იყვნენ **მ**ექაში სავაჭრო საქმეებისათვის ისე როგორც --ებრაელები. **ყ**ველგან იპოვებოდენ აგრეთვე **ე**თიოპიიდან წამოსული მონა-ქრისტიანები. **ყ**ველა ამათ, უმეტეს ნაწილათ, თავისი რელიგია სუსტათ იცოდენ; ბევრი რამე ავიწყდებოდათ, ვინაიდან წარმართებში დიდი ხნით ცხოვრობდენ. **მ**აგრამ ძირითადი წინააღმდეგობა მონოთეიზმსა და პოლითეიზმს შორის მათთვისაც ნათელი იყო. **ქ**რისტიანულ კატექიზმოს წვრილმან ცნობათა გადაცემა მაშინდელს არაბულ ენაზე შეუძლებელი იყო: თვით **მ**აჰმადსაც არ ეხერხებოდა შემდეგში ამ ენაზე რამე განყენებული ცნება გამოეთქვა, მაგრამ განსხვავება ერთ ღმერთსა და ცხრა ღმერთს შუა ხომ ყოველ ენაზე საკმაოთ გასაგებათ გამოითქმოდა. **ვ**ინც დაჰკარგა რწმენა ყრუსა და მუნჯი კერპებისა, იმისთვის ადვილი იყო თუნდა თვით **მ**ექაშიც გამხთარიყო მონოთეისტათ. **დ**აუჯერებელი არ არის ის ცნობები, რომელიც გვაუწყებს — **მ**აჰმადმა

თავის ახლობლებში ნახა ისეთი პირები, რომელთაც წარმართთა ღმერთები არაფრათ არ მიაჩნდათო. **ე**რთი ამ პირთაგანი იყო ჩვენთვის ცნობილი **ს**ეიდი, შვილი **ა**რისა, **ა**ბდ—სოზის ოჯახიდან, და **ვ**არაკა **ი**ბნ—**ნ**ოფალი, **ხ**ადიჯას ნათესავი. **ე**გ ორი უკვე გადუდგა კერპთთაყვანისმცემლობასა; მაგრამ **ს**ეიდი, უკმაყოფილო იმ ცნობებისა, რომელიც მიიღო მან ებრაელებისა და ქრისტიანებისგან მათი რელიგიის შესახებ, მხოლოდ აღიარებდა **ე**რთ **ღ**მერთს, მაშინ როცა **ვ**არაკა, როგორც ჩანს, შეიქმნა ჭეშმარიტი ქრისტიანი. **ა**სეთი პირები იშვიათ მოვლენას არ შეადგენდენ **ა**რაბეთში; მათთვის წარმოიშვა განსაკუთრებული სახელიც: არაბები ამ პირთ უწოდებდენ ,,ხანიფებს'' (პირდაპირი მნიშვნელობით ,,ულმერთო'' ან „ერეტიკოსი“;—ეს სიტყვა არაა არაბული; იგი წარმოსდგა იმ ხალხებისგან, ვისგანაც გადაიღეს ახალი სარწმუნოება—ებრაელებისა და სირიელებისაგან).

ამ პირებთან ხშირი საუბარი უფროდაუფრო არწმუნებდა **მ**აჰმადს, რომ წარმართთა ღმერთები ცრუ კერპები იყვნენ. **თ**ავისთავათ ცხადია, რომ ეს გარემოება სრულიად არ ამცირებს „მოციქულის“ ღვაწლის მნიშვნელობას ერთღმერთობის შექმნის საქმეში. **ი**მ აზრმა და ფიქრებმა, **მ**აჰმადის ნათესავები რომ აიძულეს—მხოლოდ პირადათ გადადგომოდენ ძველ სარწმუნოებას, ამ აზრმა და ფიქრებმა **მ**აჰმადის გულში უკვე ცეცხლი ააგზნეს: მას მიეცა სულიერი ძალა, რათა ერის წინაშე აღიარებია ის, რაც მას ჭეშმარიტებათ მიაჩნდა, და ამგვარათ ყოყმანისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლა დაეწყო.

დასაწყისი „განცხადებათა“.

მაჰმადის საქციელი ცხადათ მოწმობდა, რომ იგი არ იყო
ბმაყოფილი, რომ მას რაღაც წყუროდა; სული მისი უფრო-
დაუფრო მოპირქუშდა. მან მოუხშირა ქალაქს გარეთ სია-
ბულს; მთელი დღეები მარტოკა დაეხეტებოდა მექას გარშემო
ველდებში. მისი უკანასკნელი ქადაგება, როგორც ორანშია
ბი გადმოცემული, საშვალებას გვაძლევს—მივწვდეთ მის მტან-
ჯველს აზრსა და ფიქრებს. მაჰმადმა უკვე იცოდა, რომ მისი
ბრძოლების კერპთმსახურება ცთომილება და შეცოდება იყო
ქეშმარიტის ერთი ღმერთის წინაშე. მაგრამ სახელდობრ რა
უნდა ექნა თვითონ მას? ქრისტიანმა მეგობრებმა ხომ უამბეს
ყველაფერი შესახებ განკითხვის დღისა, როცა ცოდვილნი უნ-
და დაიღუპონ; როგორ-ღა უნდა მოიქცეს იგი, რომ განსაც-
ელს გადაურჩეს? მოუსვენარმა საკითხმა — უფალო, რო-
ორ მოვიქცე, რათა ვიხსნა თავი ჩემი დღეს მას საშინელს
ანკითხვისას,—საკითხმა, რომლის პასუხსაც ძალიან ადვილათ
ოულობს ხოლმე უსაფუძვლო, ზერე-ქვერე ხალხი, ძლიერ
ბშფოთა იგი კაცი, რომელიც აგზნებული სულით მიისწრა-
ოდა ქეშმარიტებისაკენ, დღი დაასვა ისეთ პიროვნებას, რო-
ორიც იყო მაჰმადი. მით უფრო ძნელი იყო ამ საკითხისაგან
ავის დაღწევა, რომ მეგობრებისაგან გადმოცემული ცნობები
რულიად დაუწყობელი იყო; მან ბევრი რამე შეითვისა, მაგ-
ამ შეთვისებული სწავლისაგან მას დასკვნა ვერ გამოეტანა,
ედა-აზრს ვერ მიწვდენოდა. რელიგიური საკითხები თავში
ბლებოდა და მათი შემაერთებელი ძაფი ვერ ეპოვნა: ჩანს, მის-
ამხანაგებმა ვერაფერი ვერ აუხსნეს, და თვითონ კი სრუ-
ბიად უნიჭო აღმოჩნდა განყენებულ აზროვნებაში. არ უნდა
ავიწყოთ, რომ ჩვენი შეხედვით, მაჰმადი იყო გაუნათლე-
ული და ლოღიკურ მსჯელობას მიუჩვეველი.

Ერთხელ, რამადანის თვეში, იგი ჩვეულებისამებრ დაეხეტებოდა მექიდან ჩრდილოეთის მხრისაკენ მდებარე მთებში, ზირის მთის ახლო. ამ მთის ძირში იყო გამოქვაბული, სადაც მაჰმადს მომეტებულათ უყვარდა ყოფნა. აღელვებული ერთი და იმავე ფიქრებით, იგი მიეცა მოუსვენარ ძილს. „და აი,— მოუთხრობდა იგი შემდეგში ნაცნობებს,—ძილში ვიგრძენ, თითქო მომიახლოვდა ვიღაც და მითხრა: წაიკითხე! მე ვუპასუხე: არა! მაშინ მან ისე მაგრათ მომიჭირა ხელი, კინაღამ მოვკვდი,—და გამიმეორა: წაიკითხე! მე კიდევ ვიუარე; მოჩვენება ისევ მიჭერდა ხელს. და მაშინ მომესმა სიტყვანი: წაიკითხე სახელითა შენისა, ბამჩენისათა, ვინაც შექმნა კაცი ერთი წვეთი სისხლისაგან! წაიკითხე! შენი უფალი იგია, ვინც ავსილია წყალობით, რომელიც აუწყებს ლერწმის საშვალებით, ვინაც ასწავლის კაცს იმას, რაც მან არ იცის. მაშინ წავიკითხე; მოჩვენება მიეფარა თვალთა ჩემთა, გავიღვიძე და მეგონა, თითქო სიტყვანი იგი წაწერილია ჩემს გულზე“.

მაჰმადზე ამ მოჩვენებამ ძალიან იმოქმედა: მან თავისი თავი ბოროტი სულის მიერ შეპყრობილათ სცნო და სულით მღელვარი მივიდა ხადიჯასთან. მეუღლე ამშვიდებდა ქმარს: მან მაშინვე კაცი აფრინა ვარაკასთან, რომელთანაც ჩვეულებრივათ ბაასობდა ხოლმე მაჰმადი ღირსშესანიშნავ საკითხებზე. როცა ხადიჯამ უამბო თავის ნათესავს, რაშიც იყო საქმე, ვარაკამ უთხრა: „თუ ეს მართალია, ცხადია—მაჰმადზე გადმოსულა სული წმიდა, რომელიც ოდესმე მოსეს მოვლენია,—ღ. მაშასადამე ქმარი შენი ჩვენი ხალხის მოციქულია“-ო.

ამან ძალიან დაამშვიდა მაჰმადი. მაგრამ რადგან მოჩვენება არ განმეორდა, ყოყმანი და ეჭვები უფრო გამწვავდა მის არსებაში. იგი სასოწარკვეთილებასაც ეძლეოდა. ძიდევ უმეტესოთ დაძრწოდა მთა-ღრეში და უფრო ხშირათ, ვიდრე სხვა ეროდისმე, ფიქრათ მოდიოდა—სალი კლდიდან უფსკრულზ

გადაჩეხილიყო, რათა ბოლო მოელო ჭკუის შემშლელი მწუხარებისათვის

უცებ მან იგრძნო, თითქო მისთვის ყველაფერი ნათლით შეიმოსა; თითქო სხვა ქვეყნიდან მოდენილმა შუქმა მისი აზრი და ფიქრები გააბრწყინა. ეჭვები გაქრა მასში. ასეთმა მოვლენამ ისე შეარყია მისი ძალ-ღონე, რომ კინაღამ გრძნობა დაჰკარგა. ცხელების ჟრჟოლით ატანილი გაიქცა შინ. „ გამხვიეთ რამეში!“—დაუყვირა მან შინაურებს. ბრძანება მაშინვე სისრულეში მოიყვანეს.

ნერვებაშლილ მაჰმადს მოესმა მაშინ ხმა:

„ჰოი შენ, გახვეულო! აღსდეგ, მოაქციე! ადიდე უფალი შენი! განასპეტაკე შენი სამოსი! განიშორე მწიკვლი, ნუ იქნები კეთილი პირადი ინტერესებისათვის! უცადე უფალსა შენსა სულგრძელებითა!“ ამ წუთიდან დაწყებულიო,—ამბობს გადმოცემა,—„ განცხადებანი“ ერთიმეორეს მიყვენ განუწყვეტლივ. და მეორე ადგილას კიდევ აი რა არის ნათქვამი: მაჰმადი ახლა უკვე დარწმუნდა თავის საქმეში და აღარ უცთიდა ახალს ზესთაბუნებრივ მოვლენებსო, ე.ი. ახალ გალიუცინაციებს: ყოველ ფიქრს, რომელიც სულიერი შფოთვის დროს ჭკუაში მოუვიდოდა, იგი უყოყმანოთ აქვეყნებდა, როგორც ზეციური ძალით ჩაგონებულ აზრს.

ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახთინა მაჰმადის ახლობლებზე. მთელმა მისმა ოჯახმა და ერთმა მეგობარმაც მაშინვე ირწმუნეს, რომ იგი ღვთის მიერ იყო წარმოგზავნილი. და დამორჩილდენ მის სულიერ ხელმძღვანელობას. ცოლსა და ქალიშვილებს გარდა, მას ერწმუნენ შვილობილებიც, მისი ძმისწული ალი,—შვილი აბუ-თალიბისა, სეიდი—მონა, ქრისტიანის გვარისა, და ბოლოს მაჰმადის ძველი მეგობარი ელ-ატინი, ცნობილი აბუ-ბეკრის (მამა ბეკრისა) სახელით, შეძლებული, ყველასგან პატივცემული ვაჭარი, მექის გვარეულობის

ბენუ-**თ**ეიმის ჩამომავალი. **ე**ს **ა**ბუ-ბეკრი ორი წლით უმცროსი იყო თვითონ მოციქულზე; იგი ირჩეოდა ჭკუითა და მშვიდობიანობით; ჰქონდა ამასთანავე პირდაპირი ხასიათი; ადამიანი სულითა და გულით მიენდობოდა მას.

ასეთი წყნარი და კეთილი იყო, მაგრამ თავის დროზე, თუ-კი ამას გარემოება მოითხოვდა, შეეძლო სულის სიკაჟეც გამოეჩინა, გამხთარიყო მოუდრეკელი. **თ**უ ასეთი თანაშემწე არა, **მ**აჰმადი ვერც კი დასძლევდა თავის მძიმე ამოცანას; მას ყოველის უწინარეს სიმშვიდე აკლდა: იგი უცებ აღტყინდებოდა და ისევ მალე დაცხრებოდა, თუნდა პირველსავე მარცხს შემდეგ—და მაშინ მელანქოლია მოიცავდა მის სულს. **მ**ეორე მხრით, არ არის **ა**ბუ-**ბ**ეკრზე უკეთესი მოწმე, რომელიც „მოციქულისადვის“ უფრო სასარგებლო ცნობას იძლეოდეს. **ე**ს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც მატერიალური ინტერესებით და არც ნათესავური ჯაჭვით იყო გადაბმული **მ**აჰმადზე, მაინც სიკეთილამდი დარწმუნებული იყო მოციქულის მიზნების უმწიკლობაში; სწამდა, რომ „მოციქული“ წარმოგზავნილი იყო მაღლიდან და არც ეჭვობდა მისი სიტყვების სინამდვილეში, თითქმის არც ისეთ შემთხვევებში, როცა თვით ძალიან ახლობელი პირებიც ეჭვის თვალით უყურებდენ **მ**აჰმადის ჭეშმარიტებას.

ᲫᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ.

მაჰმადმა, როგორც მოსალოდნელი იყო არაბისაგან, ყველაზე წინ მიმართა საკუთარ ოჯახს, ბიძებსა და ბიძაშვილებს, — საზოგადოთ **ჰ**აშიშის მთელ სახლეულობას. **მ**ან შეკრიბა ისინი და საქმის ვითარებას გააცნო. **მ**აჰმადი მისი ნათესაურებისთვის იგივე იყო, რაც სხვა რომელიმე წევრი გვარისა; ამასთანავე ისინი ნამდვილი კორეიშიტები იყვნენ. **მ**აჰმადის ბიძა

Აბუ-ლაჰაბი თურმე უფრო სერიოზული ხასიათის ბჭობას მოელოდა—და გაწყრა; მან საზოგადო შთაბეჭდილება იმით გამოთქვა, რომ ძმისწულს შეუყვირა: „მიწასაც ჩაუყლაპიხარ! განა ამისთვის მოგვიწოდეო?“ და ნაწყენი ჰაშიმიტები დაიშალენ. თვით მაჰმადიც ნაწყენი დარჩა: თუ კი მისიანები უნდობლათ მოექცენ, სხვების რაღა იმედი უნდა ჰქონოდა მას? და თვისი გრძნობები მან ერთ ლექსში გამოხატა, რომელსაც ახლაც შეხვდებით ყორანში. ამ ლექსში „მოციქულმა“ უსურვა ბიძას ყოველივე ბოროტება და დაპირდა—ცეცხლში დაიწვიო; თვით ცოლი შენი, ბაწრით კისერზე, იმ ცეცხლს შეშას შეუმატებს და ააგუზგუზებსო. ამ დაპირებას წინასწარმეტყველური ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე ნათესავური; ამიტომ იგი გულის სიღრმეში ჩაწვდა აბუ-ლაჰაბს და ააშფოთა. სანამ ეს მოხთებობოდა, მისი ვაჟი მაჰმადის მეორე ქალზე აპირობდა დაქორწინებას. მაგრამ ახლა მათი დამოყვრება შეუძლებელი შეიქმნა. თუმცა, მართალია, ეს ქალი მალე გათხოვდა და მისი ქმარი მაჰმადის მოწაფე გახთა: ეს იყო ოსმანი, შვილი აფანისა, ომაიის (მომავლის მესამე ხალიფის) წარჩინებული ოჯახის წევრი.

მაგრამ პირადათ მაჰმადის სიძეს ძალიან ცოტა გავლენა ჰქონდა და თავისი მაგალითით ვერავინ ვერ მიიზიდა.

„წინასწარმეტყველის“ მიმდევართა რიცხვი მისი მოღვაწეობის პირველ ხანაში 43-ს არ აღემატებოდა. ამ ორმოცდასამ კაცში უმრავლესობა ღარიბებისა და მონებისგან შედგებოდა. ამიტომ ეს ახალი მოძრაობა მით უფრო არა მიმზიდველი აღმოჩნდა წარჩინებული მექელებისთვის, და რადგანაც უმრავლესობის გულგრილობით აღშფოთებული „წინასწარმეტყველის“ ქადაგება უფროდაუფრო გამძაფრდა, შხამ-სამსალით გაიჟღენთა, საქმე გამოაშკარავებულ მტრობამდი მივიდა. პირველ ხანებში მდიდარი ვაჭრები უყურადღებოთ სტოვებდენ იმ გარემოებას,

რომ ზოგიერთ კორეიშიტს კრებაზე მოჰქონდა ქრისტიანი სექტანტებისაგან გაგონილი სისულელეები. მაგრამ ბოლოს დაინახეს მათ, რომ ამ სისულელეების მეოხებით ქალაქის ღმერთები, ეს წინაპართა სათაყვანო ღმერთები წბილდებოდენ, სახელი უტყდებოდათ, უკვე შეუძლებელი ხთებოდა მოვაჭრეთა ხელშეკრულობა და ბაზრობა, რომლის წყალობითაც ყვაოდა ქალაქი, და რაც უმთავრესია, ეს დამღუპველი მოძღვრება ვრცელდებოდა მონებში, რომელთაც აგონებდენ—თქვენს ბატონებზე ნაკლები არა ხართო.

Ძველა ამის მოთმენა შეუძლებელი იყო. მაგრამ ამ მავნე ფანტაზიორის მოცილებაც არ იყო ადვილი საქმე. მაჰმადს მფარველობდა მისი ბიძა ᲐᲑᲣ-თალიბი, რომელიც ღარიბათ ითვლებოდა, მაგრამ ყველას პიტივისცემით კი სარგებლობდა; იგი მზათ იყო ძმისწულის საკეთილდღეოთ თავი გაეწირა, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. Თვითონ ᲐᲑᲣ-თალიბის პიროვნებას ვერავინ ვერ შეეხებოდა, რადგანაც მთელი გვარეულობა Ჰაშიშისა მისი ქომაგი იყო. Ჰაშიმიტებს თუმცა სრულიად არ სწამდათ მაჰმადის „სისულელენი“, მაგრამ რომ ვისმე გაებედა „მათი კაცის“ შეურაცხყოფა, ისინი იარაღსაც მიმართავდენ შეურაცხმყოფელთა წინააღმდეგ. Ასე მოიქცეოდენ, რასაკვირველია, ისინიც, ვისი ნათესავებიც ამ ახალ სექტას ეკუთვნოდენ. Თავისუფალ არაბებს, მაჰმადის მიმდევრებს, კორეიშიტები ლანძღვითა და დაცინვით თუ უმასპინძლდებოდენ; სხვაფერ, ჯერჯერობით მაინც, უყურადღებოთ სტოვებდენ. Შარესი იყო მდგომარეობა მონებისა, რომელთაც არავითარი უფლება არ ჰქონდათ; მათ არათუ ცუდათ ეპყრობოდენ, ხშირათ აწამებდენ კიდეც, თუკი ისინი უარს იტყოდენ მაჰმადის გაკიცხვასა და ძველი ღმერთების თაყვანისცემაზე. ᲐᲑᲣᲑᲔᲙᲠᲛᲐ სიამოვნებით დახარჯა თავისი ქონების ერთი ნაწილი, რომ ზოგიერთი ამ უბედურთაგანი გამოეყიდა. Სხვებს თვითონ წინასწარმეტყველმა დართო

ნება — ჭეშმარიტი სარწმუნოება დაემალათ და ბატონების მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებიათ, რომ ამით შემდეგში მაინც გადარჩენილიყვნენ წამებას.

წინასწარმეტყველის მრევლი თუმცა ნელა, მაგრამ თანდათან კი იზრდებოდა: მექის არისტოკრატების დაცინვა და კილვა უნაყოფო გამოდგა. პირიქით, მათ ამით ხელი შეუწყვეს კიდეც — მაჰმადის მომხრეთა რიცხვი ერთი შესანიშნავი პიროვნებით გამდიდრებულიყო: ეს იყო წინასწარმეტყველის ბიძა, ჰამზა, მომავალი „ლომი ისლამისა". ჰამზამ ვერ მოითმინა ერთი მექელის მიერ ძმისწულის შეურაცხყოფა, და ასე ვთქვათ, საგვარეულო თავმოყვარეობით ახალ მრევლს შეუერთდა.

უფრო საყურადღებო იყო მეორე მოვლენა: ომარი, პატაბას შვილი, ადას სახლიდან, რომელიც აქამდი დაუძინებელი მტერი იყო ახალი მოძღვრებისა, სრულიად მოულოდნელათ მიემხრო მაჰმადს. ომარი სერიოზული, ჩაფიქრებული კაცი იყო. მან მოვალეთ სცნო თავი — ახლო გაეცნო ახალი მოძღვრება, რომლის წინააღმდეგაც ასე თავგამოდებით იბრძოდა, და რომ დაუკვირდა მას, დარწმუნდა, რომ სიმართლე მაჰმადის მხარეზე იყო. და როგორც კი აღიარა მან ეგ ჭეშმარიტება, დაუყოვნებლივ და აშკარათ მიემხრო წინასწარმეტყველს.

ეს მოვლენა დიდათ მნიშვნელოვანი იყო ახალი რელიგიისთვის. მაგრამ ბევრის აზრი, თითქო თვით ომარი იყოს ისლამის ნამდვილი დამფუძნებელი, მაინც გადაჭარბებულათ უნდა ჩაითვალოს; ამ მხრივ მაჰმადის ღვაწლის უარყოფა, თუ-კი ვიხელმძღვანელებთ ისტორიული ფაკტებით, შეუწყნარებელია, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მუსულმანურ სახელმწიფოს სწორეთ ომარმა მიანიჭა ძლიერი ორგანიზაცია, ურომლისოთაც იგი უნდა დაშლილიყო სწორეთ ისეთი სისწრაფით, როგორითაც იგი წარმოიშვა და აშენდა.

Იმ დროიდან, როცა Ომარი მაჰმადის მიმდევარი გახთა, წინასწარმეტყველს მასზე უფრო მომქმედი თანაშემწე აღარ ჰყოლია.

მშვიდი და მაგარი Აბუ-ბეკრი მაჰმადს ზნეობრივათ ძალას უმატებდა; ისიც მართალია, რომ მაჰმადი უფრო ღრმა იყო, ვიდრე მისი მეგობარი, მაგრამ ხასიათი დაუდგრომელი ჰქონდა, მალე ერთობოდა და ცხოვრების სინამდვილე იშვიათად ესმოდა რიგიანათ. მაგრამ უმთავრესათ Ომარის გავლენით აიხსნება წინასწარმეტყველის დაუღალავი მოღვაწეობა, ურომლისოთაც წარმოუდგენელი იქმნებოდა მაშინდელ მდგომარეობაში ახალი სარწმუნოების გავრცელება.

Ომარი რომ ისლამს შეუერთდა, 27 წელიწადში იყო გადამდგარი; ხალხში იგი გაცილებით უფრო მაღლა იდგა ყველა სხვაზე, იყო გამბედავი და თავგამოდებული; და ამავე დროს იგი გამჭრიახი და საღი გონებით განირჩეოდა. Ამ თვისებებით მან დაიმსახურა ყველას პატივისცემა, თუმცა არც ხნიერი იყო, არც მდიდარი და არც წარჩინებული. Როცა Ომარი ისლამს შეუერთდა, მან ამ მოძღვრებას ერთგვარი დამახასიათებელი მიმართულება მისცა: ამიერიდან მართლმორწმუნენი ლოცვა-ვედრებას ასრულებდენ აშკარათ და არა ჩაკეტილში, როგორც ეს წინეთ ხთებოდა. Ისინი უკვე დაუფარავათ იკრიბებოდენ Ქააბასთან და იქ ასრულებდენ საზეიმო პროცესიებს, ხოლო უკვე არა წარმართების კერპებს მსახურებდენ, არამედ Ერთ Ღმერთს ადიდებდენ.

მორწმუნეთა ასეთ საქციელს უთუოდ უნდა მოეხდინა შთაბეჭდილება მექის არისტოკრატიაზე. Იმისთანა პირებთან, როგორიც იყვნენ ჰამზა და Ომარი, ხუმრობა სახიფათო იყო. Ეს უკანაძკნელები მზათ იყვნენ შეურაცყოფაზე ხმლების ტრიალით ეპასუხებიათ მოწინააღმდეგეთათვის, — ვაჭრებისათვის კი ომის გამოცხადება ხომ ხელსაყრელი არ იქნებოდა: მაჰმადი

ომით არაფერს არ წააგებდა, და ვაჭრობის საქმე კი ძალიან შეფერხდებოდა.

უკვე მოთხრობილი შემთხვევების წინ **მ**აჰმადმა ერთს თავის ქადაგებაში, რომელიც **ქ**ააბის წინ წარმოსთქვა, პატივისცემით მოიხსენა წარმართთა ზოგიერთი ღმერთი; მაგრამ შემდეგში, როცა **გ**აბრიელ მთავარანგელოზმა უსაყვედურა მას გაუფრთხილებლობა, წინასწარმეტყველმა თავისი სიტყვები უკან დაიბრუნა. **მ**ექელებმა-კი არ აპატივეს მას ეს სისუსტე: მათ თითქო მიეცათ საფუძველი—ეწოდებიათ მისთვის მატყუარა და მოქცეოდენ მას, როგორც ცრუს. **ა**სეთმა დამოკიდებულებამ ძალიან ააშფოთა წინასწარმეტყველი; იგი უფრო-და-უფრო რწმუნდებოდა, რომ თუ **ღ**მერთი ითმენს მექელთა თავხედობას, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წინდაწინვე აქვთ მისჯილი დაღუპვა, რომ თვით **უ**ფალს არ უნდა მათი ხსნაო.

მოძღვრება ბედისწერაზე, რომლის ყველა ლოღიკური შედეგიც **მ**აჰმადმა მხოლოდ შემდეგში გამოიყვანა, სწორეთ ამ ხანაში ჩაისახა. **ვ**ინაიდან ძველი აღთქმა სავსეა მაგალითებით, თუ როგორ სჯის უფალი მოუნანებელ ცოდვილთ, ამიტომ **ყ**ურანშიც შეიჭრა მრავალი მსჯელობა სხვადასხვა ბიბლიურ თემაზე.

დამოკიდებულება, ცხადია, ორივე მხრივ მწვავდებოდა; წინასწარმეტყველის მომხრეების საქციელი მით უფრო სახიფათო შეიქმნა მოწინააღმდეგეთათვის, რომ სეკტანტების ერთი ნაწილი **ა**ბისინიას გადასახლდა და საუკეთესო განწყობილება დაამკვიდრა იქაურ მართველობასთან, რომელიც, თავისი მხრივ, მაინცდამაინც ვერაფერ განწყობილებაში იყო მექელებთან.

მაჰმადის მიმდევართა დევნა.

Ამნაირათ, რელიგიურს საკითხს პოლიტიკურიც ჩაექსოვა, და რასაკვირველია საქმე გართულდა. ბოლოს მექელებმა, რომ ვერ გადაწყვიტეს ომის დაწყება და ვერც ითმენდენ თავის წრეში მოწინააღმდეგეთა თარეშს, მოიფიქრეს ახალი ხერხი: მაჰმადის წინააღმდეგ მისივე ნათესავების აჯანყება. 617 წ. მათ დიდი ზეიმით მოახთინეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქალაქის მცხოვრებთ აეკრძალათ ყოველგვარი მიმოსვლა ჰაშიშისა და მუთალიბის სახლეულობის წევრებთან; დააწესეს— არც მიეყიდათ მათთვის რამე, არც მათგან ეყიდათ საჭირო საქონელი. ვინაიდან გვარეულობის კავშირი არაბეთში ყოველთვის ძლიერი იყო, წინასწარმეტყველის ნათესავებმა სამ წელიწადს გაუძლეს ასეთ მდგომარეობას და თავისიანები არ გასცეს. მართალია, მექელების დადგენილებამ ძალა დაჰკარგა, ხელშეკრულებაც დაირღვა, მაგრამ მაჰმადს ამ გარემოებამ თავისი კვალი მაინც დააჩინა: მისთვის ბოლოსდაბოლოს აუტანელი ხდებოდა მშობელ ქალაქში ცხოვრება. მისი მექასთან შემაკავშირებელი ძალებიც თანდათან დასუსტდა; მოკვდა ხადიჯა, მოკვდა აბუთალიბი.

აღიძრა საკითხი: დაიცვენ თუ არა მაჰმადს აბუთალიბის მემკვიდრეები ისეთივე თავგამოდებით, როგორითაც მას აბუთალიბი იცავდა? ამასთანავე ნაყოფიერმა ცთამ—საზღვარგარეთ მოეძებნა თავის დასაცავი ადგილი, მაჰმადი დაარწმუნა—რომ ეს ერთადერთი გზა იყო დარჩენილი, რათა მისი მტრების მზაკვრობისგან თავის მოძღვრება დაეცვა. მაგრამ ამ მოძღვრების გასავრცელებლათ მაინც საჭირო იყო—თვით არაბეთში მოეძებნა მას ნავსაყუდელი: მაჰმადის ქადაგება ყოვლის უწინარეს ხომ არაბებისკენ იყო მიმართული. ცთა, რომ წინასწარმეტყველს მიმხრო-

ბოდა ტაიფი (პატარა ქალაქი მექის სამხრეთით) უნაყოფო აღმოჩნდა. უფრო ნაყოფიერათ დაბოლოვდა მოლაპარაკება იატრიბის მცხოვრებლებთან.

ლტოლვა მაჰმადისა მედინას.

ქადაგების წარმოსათქმელათ მაჰმადმა ისარგებლა გაზაფხულის ბრწყინვალე დღესასწაულით, როცა მექაში აურაცხელი უცხოელი შეიკრიბა. მინის ვაკეზე, სადაც იკრიბებიან პილიგრიმები, როცა ისინი ბრუნდებიან არაფატის მთიდან*), წინასწარმეტყველი შეხვდა ჰაზრაჯის ტომის ხალხს; ეს ერთი იმ ტომთაგანია, რომელთაც ეკუთვნის იატრიბი, ნახევრათ არაბული და ნახევრათ ებრაული ქალაქი, საერთო კუთვნილება რამოდენიმე ტომისა. მოსაკუთრე მეზობლები ხშირათ კინკლაობდენ ერთმანეთში; ჩხუბის დროს ებრაელები არა ერთხელ ემუქრებოდენ არაბებს თავისი წინასწარმეტყველის წყრომას, რომელიც, მათი რწმენით, მალე მოვიდოდა და ყველა ხალხს დაიპყრობდა.

მაჰმადის მოძღვრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იატრიბელ პილიგრიმებზე. „აი ის წინასწარმეტყველი, რომელზეც მითქმა-მოთქმა აქვთ ებრაელებს“-ო, ამბობდენ ისინი და კიდეც მიიწვიეს მაჰმადი, როგორც მოგვითხრობს ერთი მუსულმანური გადმოცემა, თავის ქალაქში, რომ მას ღვთის შემწეობით მოესპო მცხოვრებთა შორის ყოველგვარი აყალ-მაყალი.

---

*) მექის დასავლეთით სამი მილის მანძილზე დღესაც შეხვდებით ამ მთას. მას მაჰმადიანთათვის დიდი რელიგიური მნიშვნელობა აქვს: მაჰმადიანი პილიგრიმები პირველათ ამ მთაზე ადიან და მხოლოდ მერმე ჩადიან Міпа-ს ჯალაში, სადაც შემდეგ უმთავრესი რელიგიური ცერემონია „ხაჯი“ ხთება. Д. У.

საქმე ასე ადვილათ მოსაგვარებელი არ იყო; ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ მაჰმადი ახლათ მოქცეულებს კი არ გაყვა მათს ქალაქში, არამედ მის მომტრე მექაში დარჩა. მაგრამ უეჭველია, რომ იატრიბაში ისლამი ძალზე ნვითარდებოდა: აქ ქადაგება მით უფრო ადვილი იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი დიდი ხანია მიეჩვიენ თავის წრეში სხვა სარწმუნოების მიმდევრების, ებრაელებისა და ქრისტიანი სეკტანტების ხილვას. შემდეგ დღესასწაულზე მაჰმადმა იმავე მინის ვაკეზე უკვე ნამდვილი ელჩები იპოვა, იატრიბისა, აუსისა და ჰაზრაჯის ტომებისგან გამოგზავნილნი, რიცხვით 75 კაცი. წინასწარმეტყველის ერთმა ბიძამ, აბასმა მაჰმადის სახელით სიტყვა წარმოსთქვა. მან მიუთითა ელჩებს იმ გარემოებაზე, რომ აქამდი მისი ძმისწული მფარველობას პოულობდა თავის ოჯახში, რომელიც აწიც არ მოაკლებს მას მზრუნველობას; მაგრამ, ვინაიდან მას იატრიბის მცხოვრებთა მფარველობა ურჩევნია, ეკითხება მათ—ფიცავენ თუ არა ისინი წინასწარმეტყველს, რომ მას დაიფარავენ მტრის ხელისგან? იქ მყოფთ პირობა დადვეს და თავის მხრივ წამოაყენეს საკითხი—როგორია წინასწარმეტყველის პირობებიო. მაშინ მაჰმადმა, ამბობს გადმოცემა, კიდევ უქადაგა მათ ჭეშმარიტ ღმერთზე და სიტყვა ასე დაამბოლოვა: ,,აი, გიკავშირდებით მე თქვენ იმ მიზნით, რომ დამიფაროთ მტრის ხელისგან სწორეთ ისე, როგორც თქვენს ცოლებსა და შვილებს მფარველობთ“-ო. წინასწარმეტყველმა რომ თავისი გაათავა, ალ-ბარამ, ჰაზრაჯის ტომის წევრმა, მოკიდა მას ხელი ხელში და შეჰფიცა მფარველობა. ასე მოიქცენ დანარჩენებიც. შემდეგ მაჰმადი თავის წინამძღოლათ გამოაცხადეს; თანაც, ჩვეულებისამებრ, სათითაოდ მიდიოდენ მასთან და მის მარჯვენას თავისი ხელით ოდნავ ეხებოდენ.

შემდეგ ამისა მაჰმადმა, თავისი ახალი წოდების ძალით, დანიშნა 12 კაცი,--3 აუსისა და 9 ჰაზრაჯის ტომიდან,—იატრიბის მრევლის ხელმძღვანელათ,—და კრება დაირღვა.

ეს მოხთა 622 წელს. ზაფხულის განმავლობაში რამოდენიმე ათეული მუსულმანი გადავიდა ახალი მოკავშირეების მფარველობაში, თუმცა ძალიან კი ცთილობდენ კორეიშიტები— ამ გადასახლებისათვის როგორმე ხელი შეეშალათ—მათ უსაფუძვლოთ კი არ ეშინოდათ **მ**აჰმადის ძველი მეგობრებისა, რომელნიც ცნობილი იყვნენ დაუწყნარებელ და მებრძოლ ხალხათ. **თ**ვითონ წინასწარმეტყველი ყველაზე დიდხანს დარჩა მშობელ ქალაქში; ბოლოს, გავარდა ხმა, თითქო მექელებს მისი მოკვლა უნდოდათ, რათა ამით ძირიან-ფესვიანათ მოესპოთ ის მტრული ძალა, რომელიც თანდათან იზრდებოდა. **მ**ეტი გზა არ იყო, —**მ**აჰმადმა ქალაქიდან გაქცევა გადაწყვიტა. **მ**აშინ, როცა მისი ერთგული **ა**ლი, **მ**აჰმადის ტანისამოსში გადაცმული, ატყუებდა მტრებს—თითქო წინასწარმეტყველი იგი ყოფილიყოს,—და მოტყუებული ქალაქელებიც ფიქრობდენ—წინასწარმეტყველი შინ არისო, მაშინ თვით **მ**აჰმადი **ა**ბუ-**ბ**ეკრთან ერთად ქალაქიდან ჩუმათ გაიპარა და მიხვეულ-მოხვეული გზებით **ი**ატრიბას მივიდა. **ა**მ „გაქცევიდან“ (ჰიჯრა) მაჰმადიანები იწყებენ თავის წელთაღრიცხვას; ძალიან ხელოვნური გამოანგარიშებით ეს წელთაღრიცხვა იწყება 622 წლის 20 სეპტემბრიდან ქრ.შ.

მუსულმანები ამ მოვლენას დიად მნიშვნელობას აძლევენ: აქამდი **მ**აჰმადი იყო მხოლოდ სულიერი მართველი პატარა პარტიისა, რომელიც ყოველთვის უმცირესობისგან შედგებოდა; ხოლო ამ ჟამიდან იგი გახთა არა მარტო მოთავეთ მრავალრიცხოვანი მრევლისა, რომელსაც შეუერთდა **ი**ატრიბის (ახლა „**მ**ედინის,“ „ქალაქის“ თავისი მნიშვნელობით) მცხოვრებთა უმრავლესობა, არამედ ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელათაც. **თ**უ ისლამის მოძღვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხთარა, სამაგიეროთ მისი ისტორიული როლისათვის **ჰ**იჯრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

პოლიტიკური მრევლის დაარსება.

ზევით გათვალისწინებული ცნობები უკვე საკმაოთ გვიმტკიცებს, რომ არაბეთს აკლდა ის, რასაც სახელმწიფო წესწყობილება ეწოდება. **რ**ადგან ისლამის განმტკიცებასა და გასავრცელებლათ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო მშვიდობიანობა და თანხმობა მის მიმდევართა შორის, ამიტომ აუცილებლათ, ძალიან ძვირათაც რომ დამჯდარიყო ეს, ბოლო უნდა მოღებოდა საერთაშორისო ომებს და დადგენილიყო ერთგვარი წესრიგი. **წ**არმოვიდგინოთ, რომ ერთმა მართლმორწმუნემ ჩხუბში მოკლა მეორე. **ძ**ველი წესისამებრ, ეს მკვლელობა მოკლულისა და მკვლელის ნათესავებს შორის ომს გამოიწვევდა; როგორ-ღა უნდა დაცულიყო აქ მრევლის ერთობა? **ა**მნაირათ რელიგიური საზოგადოების კანონმდებლობას, რომელიც სხვა და სხვა მოდგმის ხალხებს აერთებდა, გარემოება აიძულებდა სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხი გამოერკვია. **რ**ომ თვით მუსულმანებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივ საკითხებზე, ეს გარემოება საქმის ვითარებას სრულიად არ ცვლიდა, რაკი მათი ეკლესია ცხოვრებაში ნამდვილი სახელმწიფოს როლს ასრულებდა. **რ**ომ საერობო და სასულიერო ინტერესების შერევას ბოლოს რელიგიური იდეალების დაჩრდილვა უნდა გამოეწვია, ეს თავისთავათ ცხადია; როგორც შემდეგ დავინახავთ, ამ მოვლენამ თვითონ **მ**აჰმადის პიროვნებაზეც იქონია გავლენა. **მ**აგრამ მისგან დაარსებული სახელმწიფო სწორეთ მითუფრო გამაგრდა, რომ მისთვის კანონისადმი მორჩილება რელიგიურ მოვალეობათ ითვლებოდა. **მ**ოკლე ხანში ამ სახელმწიფომ მიაღწია ისეთ სიდიდესა და ბრწყინვალებას, როგორსაც თვით რომაელებიც, ეს პოლიტიკური ნიჭით ფრიად დიჯილდოვებული უუძველესი

ეროის ხალხი, მხოლოდ ათასეულ წლებს შემდეგ და ისიც დაუღალავი შრომის შემწეობით მოესწრენ.

მა ჰმადის უუძველესმა ბიოგრაფებმა შეგვინახეს საუცხოო საბუთი, რომელშიაც ნაჩვენებია მისი პირველი ცთა—მიეცა **ა**რაბეთის მცხოვრებთათვის განსაზღვრული სახელმწიფო მართვა-გამგეობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ტომთა და გვარეულობათა განწყობილებისაგან. **ე**ს საბუთი ფორმით ოქმის მსგავსია, სადაც ჩამოთვლილია ხელშეკრულობის ძირითად დებულებათა სტატიები; ხელშეკრულობა კი მოხთა **ი**ატრიბის მცხოვრებთა შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ შინაური წესრიგი და საყოველთაო მთავრობა გარეშე მტრებისგან.

მისი მთავარი დებულებანია:

მორწმუნე კორეიშიტები (მექელები) და იატრიბელნი, ისე როგორც ყველა მათი მოკავშირენი შეადგენენ **ერთ ერს**, რაიცა ანსხვავებს მათ ყველა დანარჩენი ერებისაგან.

რაც შეეხება განწყობილებას მორწმუნეთა შორის, როგორც **მ**ექიდან გადმოსახლებულნი. ისე ცალცალკე გვარეულობა ჰაზრაჯისა და **ა**უსისა მარტო თვითონ განაგებს თავის კერძო საქმეებს—საკომლო გადასახადს, ტყვეების გამოყიდვას, გაღატაკებული წევრების შემწეობას. **ა**კრძალულია მორწმუნეთა შორის ჩხუბი და კინკლაობა. **ა**რავის მართლმორწმუნეთაგანს ნება არ აქვს სისხლის ასაღებათ მოკლას ვინმე.

მართლმორწმუნემ არ უნდა დაიცვას ურწმუნო მეორე მართლმორწმუნისგან.

პირიქით, მართლმორწმუნენი იცავენ ერთმანეთს ყველა ურწმუნოსგან... **მ**ათ საერთო ომი და საერთო მშვიდობიანობა აქვსთ; თუ ვინმე მოკვდება **ღ**ვთის მსახურებით გამოწვეულ ომში, მისი სისხლის ასაღებათ ყველა ერთად იძიებს შურს. **ა**რავის **ი**ატრიბაში მცხოვრებთაგანს,—თითქმის კერპთმსახურათ დარჩენილებსაც კი,—უფლება არ აქვს დაიცვას კერპთთაყვანისმცემელი **მ**ექელი ან მისი ქონება.

სავალდებულოა შურისძიება მართლმორწმუნის მკვლელზე, თუ იგი მოკლულის ნათესავებს დაწესებული გადასახადით არ დააკმაყოფილებს.

მართლმორწმუნემ არ უნდა დაიცვას ავაზაკი და არ უნდა აღმოუჩინოს მას საფარი.

ყოველივე ჩხუბი, მართლმორწმუნეთა შორის ატეხილი, უნდა გაირჩეს **მ**აჰმადის მიერ **ღ**ვთის შემწეობით.

ახლა უკვე—არა ტომი, არამედ რელიგიური საზოგადოება აერთებს მართლმორწმუნეთ; მოვალეობა, რომელიც გამომდინარეობდა სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული კავშირიდან, და უფლება, რომელიც ამ კავშირის დასაყრდნობი ძალა იყო,— შურისძიება, გვარეულობის მფარველობა, გვარეულობის წევრთა სოლიდარული განწყობილება ყველა უცხოელთან,—ყველა ეს ახლა მორწმუნეთა ერთობას დაედვა საფუძვლათ. **ყ**ოველგვარი ოჯახური მტრობა, რაც ხშირი მოვლენა იყო მართლმორწმუნეთა შორის, უნდა შემწყდარიყო; წინაღმდეგ, ყოველი ურწმუნო ნათესავი მუსულმანისთვის სრულიად უცხო ვინმეთ ითვლებოდა.

პირველ ხანებში **მ**აჰმადი იმასაც ეცადა, როგორმე ახლათ შემუშავებული განწყობილების ნიადაგზე გადაეტანა შეგნება საგვარეულო საკუთრების შესახებ: 50 მისი მიმდევარი მექელი უნდა დაძმობოდა 50-ს მის მომხრე **ი**ატრიბელს; და ეს კავშირი უნდა მიჩნეულიყო ყოველგვარ ნათესაობაზე უფრო მნიშვნელოვანათ, თითქმის მემკვიდრეობის საქმეშიც,—თუ ვინმე მოკვდებოდა, მის ქონებას არა მისი სასხლის ნათესავი დაეპატრონებოდა, არამედ მისი ,,ძმა'', რომელიც მიცვალებულის სისხლის ნათესავებში პირველობით სარგებლობდა და მემკვიდრეთაც ხთებოდა. **თ**უმცა ერთ წელს შემდეგ ეს დადგენილება შეიცვალა, მაგრამ წინასწარმეტყველის მიერ მოხთენილი ძირითადი ცვლილება უიმისოთაც დიდი იყო.

ტომური დამოკიდებულობა მალე ცარიელ ფორმათ გადაიქცა: ტომთა ბელადები არაფერს არ წარმოადგენდენ მორწმუნეთათვის, რომელნიც მხოლოდ მაჰმადის უფლებას უწევდენ ანგარიშს. ხელშეკრულობიდან ჩანს, რომ თითქმის იატრიბის ის მცხოვრებნიც, რომელნიც ჯერ კიდევ არ მოქცეულიყვნენ, უნდა დამორჩილებოდენ ახალ წესებს, ასე რომ კაცი, რომელიც მხოლოდ რელიგიური ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო ,,მორწმუნეთა'' საზოგადოებისა, ნამდვილათ მისი ხელმწიფე შეიქმნა.

ღვთის მსახურება.

ერთობის გარეგან გამომხატველათ საყოველთაო ღვთისმსახურება იყო, რომელმაც აქ წესიერი ფორმა მიიღო. იატრიბაში არ იყო საკურთხეველი,—როგორც არაბეთის სხვა ქალაქებშიც, გარდა მექისა. მუსულმანთა კერძო სახლში შეკრება, როცა მათი რიცხვი ძალიან გაიზარდა, შეუძლებელი შეიქმნა; ღვთისმსახურებისათვის საჭირო იყო განსაკუთრებული შენობა. წინასწარმეტყველისა და მისი კრებულის სახლებთან ერთად აშენდა სამლოცველო სახლი, სწორკუთხიანი შენობა, რომელსაც სიგძით 200 და სიგანით 60—70 იდაყვი ჰქონდა; მისი ფუძე თლილი ქვისგან იყო ამოშენებული და კედლები აგურისგან; პალმის ტოტებით დახურულ ჭერს სვეტებათ პალმისავე ღეროები ჰქონდა შეყუდებული. რადგან მაჰმადი ებრაელების მიბაძვით (ებრაელები, როგორც ვიცით, იატრიბის მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდენ, და წინასწარმეტყველი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მათ დასაახლოვებლათ) ლოცვის დროს იერუსალიმისკენ ე. ი. ჩრდილოეთისკენ მიიღებდა პირს, შენობის ჩრდილოეთის კედელი თავისუფლათ

დატოვეს და სამხრეთის კედელში გამოსჭრეს მთავარი კარი; ერთერთი გვერდის კარით—აღმოსავლეთის მხრივ—წინასწარმეტყველის ბინაზე მიისვლებოდა, და ამ კარით სარგებლობა მხოლოდ მას შეეძლო.

ასეთი იყო მოწყობილობა ამ „სამლოცველო ადგილისა“—el—Mesdschid-ისა (მეჩითი).

ერთი უმთავრესი დაბრკოლება, რომლის თავიდან აშორებაც აუცილებელი იყო, მდგომარეობდა წინასწარმეტყველისა და მისი ამხანაგების მატერიალურ ხელმოკლეობაში. რით უნდა ერჩინათ თავი იმ მექელებს, რომელთაც იატრიბაში თან არაფერი მოეტანათ? მაჰმადის თითქმის ფრიად მდიდარი მიმდევრებიც გაღატაკდენ დევნის დროს: აბუ-ბეკრს 40000 დირგემიდან*) 5000-მდი დარჩა. ახლათ-მოქცეულები თუმცა სტუმართმოყვარენი იყვნენ, მაგრამ ყველა ღარიბი მაინც ვერ პოულობდა სარჩოს: ბევრი მათგანის კვება მოუხთა თვითონ მაჰმადს, რომლის სახლთან, მეჩეთის ახლო, ღატაკებს კარვის მზგავსათ გადმოეხურათ ბინა.

ეს ერთბაშათ მაჰმადისგან დამოკიდებული უკმაყოფილო პროლეტარები წარმოადგენდენ ახალი მრევლის არა სანდო ნაწილს, მაგრამ სამაგიეროთ ძალიან განოსადეგი იყვნენ იმ შემთხვევებში, როცა წინასწარმეტყველისთვის საჭირო იყო დამზადებული ძალა. ამ ღატაკთა სარჩენათ მორწმუნენი დატვირთული იყვნენ განსაკუთრებული გადასახადით. ისლამი ქველმოქმედებას ყოველთვის თვლიდა მორწმუნეთა ერთერთ მოვალეობათ. „მოწყალება“ (Sakat) თანდათან გადაიქცა ნამდვილ გადასახადათ, რომლის შემოსავალიც ბოლო ხანებში იხმარებოდა სხვა საქველმოქმედო საქმეებზეც, ხოლო უკანასკნელათ გახთა სახელმწიფო მეურნეობის საფუძვლათ. უფრო მეტი პატივისცემით

---

*) ბერძნული სიტყვაა: ლითონის ფასით 20 კაპ.

სარგებლობდენ სხვა მოჰაჯირები („სამშობლოდან გამოქცეულები“), ხალხი, გამოცთილი ერთგულებაში, როგორიც იყვნენ **ა**ბუ-**ბ**ეკრი, **ო**მარი, **ჰ**ამზა, **ს**ეიდი, **ა**ლი, რომლებთანაც **ღ**ვთის მოციქული ყოველდღე ბჭობდა. **ხ**ანდახან საკვირველი სითანაბრე ეტყობოდა ხოლმე რომელიმე მათგანის აზრისა და თვითონ **უ**ფლის ნებას, რომელსაც **მ**აჰმადს **ზ**აბრიელ მთავარანგელოზი განუცხადებდა ხოლმე; **ზ**აბრიელ მთავარანგელოზი **მ**აჰმადის სამსახურათ ყოველთვის მზათ იყო. **ე**ს ჯგუფი წევრთა რიცხვის მიხედვით ძალიან პატარა იყო, მაგრამ თავისი მნიშვნელობითა და **მ**აჰმადის ნდობით დიდი ძალა მოიპოვა; ამ ჯგუფის გარშემო თანდათან ფართოვდებოდა ახლათმოქცეულთა მასსა, რომელთაც უკანასკნელ ხანებში პატივისცემის ნიშნათ უწოდებდენ „თანაშემწეებს“—el—Anstar.

უოველდღიური მტკიცეთ დაკანონებული ლოცვები, საყოველთაო ქედის მოხრა „**ღ**ვთის მოციქულის“ ნების წინაშე, მზრუნველობა ერთმანეთზე ხშირათ ნაძალადევი ხასიათისა,—ყველა ეს მჭიდროთ აერთებდა ახალ მრევლს—და მისი ცხოვრების მსვლელობას განსაზღვრულს მტკიცე ხასიათს აძლევდა; ახალი წესრიგი სრულებით ანსხვავებდა მას არაბების წინანდელი ყოფა-ცხოვრებისგან. **თ**ითქმის გარეგანი წესებიც, თავისთავათ მაჩვენებელი იმისა, რომ წინასწარმეტყველს საკმაოთ გაუთლელი წარმოდგენა ჰქონდა **ღ**ვთაებაზე, თითქმის ეს წესებიც ნაყოფიერი, სასარგებლო იყო იმ მხრით, რომ იგი აჩვევდა არაბებს წესრიგიანობასა და დისციპლინას, რაიცა მათთვის წინათ უცხო ხილი იყო. **ე**ს გარემოება ძალიან გამოადგა ახალ მოძღვრებას. **მ**ექელები—სრულიად საფუძვლიანათ—წინასწარმეტყველის მეომარ ტომებთან დაკავშირებიდან ძალიან ცუდ შედეგს მოელოდენ. **რ**ოცა **მ**აჰმადმა ხელში ძალა იგრძნო, მხოლოდ ბიწიერების მხილებით არ დაკმაყოფილდა და ურწმუნოებს პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა.

მეჭასთან ბრძოლა.

როდესაც მექელებმა პირველათ სცადეს ჩრდილოეთიდან დაბრუნებული ქარავნების დატყვევება, ბრძოლა უკვე იმ ხნიდან დაიწყო. **ხ**ოლო როცა ~~ქარავნებმა~~ დასაცავათ მთელი ქალაქის მცხოვრებნი გამოვიდენ, საქმე ძალიან გამწვავდა; აქ **მ**აჰმადის მიმდევრების ფანატიზმმა და დისციპლინამ სძლია კორეიშიტების უწესრიგო მამაცობას. **ო**მი რამოდენიმე წელიწადს გაჭიანურდა; **ი**სლამის მტრებმა ცენტრალური **ა**რაბეთის ტომთა უდიდესი კავშირი დააარსეს და **მ**აჰმადს მის **მ**ედინაში ალყა შემოარტყეს; ბოლოს მაინც მუსულმანთა მრევლის სიმტკიცემა და ერთობამ გაიმარჯვა. **ა**რაბებს, რომელთაც არ ჩვეოდათ ქალაქების ალყის შემორტყმა, მობეზრდათ **მ**ედინას წინ დგომა, და ტომები დაიშალენ.

წინასწარმეტყველი იმარჯვებდა—და თანდათან რწმუნდებოდა თავის საქმეში. **დ**ასაწყისში, როგორც შევნიშნეთ, იგი ებრაელებს მისდევდა კვალში, გადაჰქონდა მათი ჩვეულებები, ემყარებოდა ძველ აღთქმას,—და ყველა ამას შვრებოდა, სხვათა შორის, დაიმედებული, რომ ებრაელებში იგი მოკავშირეებს ჰპოვებდა. **ხ**ოლო ებრაელები მაინც განზე იდგენ. **მ**აჰმადის ძველ აღთქმაზე დამყარება მათ სასაცილოთაც არ ჰყოფნიდათ, იმიტომ რომ წინასწარმეტყველი, რადგანაც ამ უკანასკნელმა დაბადება უხეიროთ იცოდა, ხშირათ ისეთ აზრებს მიაკუთნვებდა ხოლმე ამ წიგნს, რომელთაც იქ ადგილი არ ჰქონდათ. **ე**რთი სიტყვით, ებრაელები უსიამოვნო მეზობლები იყვნენ; ისინი მოწინააღმდეგეებს უფრო წაგავდენ, ვიდრე მეგობრებს. **ძ**ორეი შიტებზე გამარჯვება ებრაელებისგან განთავისუფლების სიგნალი იყო **მ**აჰმადისთვის: ზოგი მათგანი გამორეკეს ქალაქიდან, სხვები კი ამოხოცეს,—**მ**ედინა გახთა განსაკუთრებულს მუსულმანურ ქალაქათ. **მ**ექელი ვაჭრებიც ძალიან შევიწროვდენ მტრო-

ბით; მოკავშირენი ზედმიყოლით ჩამოშორდენ მათ და მაჰმადს მხარი დაუჭირეს და, სხვა თუ არა, გარეგნულათ მაინც მიიღეს ისლამი: ამნაირათ, მაჰმადისკენ იყო გამარჯვება, და საშასადამე, ალაფიც. მექაში მალე მიხვთენ, რომ წინასწარმეტყველის წინააღმდეგობით მხოლოდ წააგებდენ, ხოლო წაგება მათ არ უყვარდათ. მეორე მხრით, ქაბა მომხიბვლელობას არ კარგავდა მართლმორწმუნეთა თვალში; ებრაელებთან კავშირის გაწყვეტას შემდეგ მაჰმადი ლოცვის დროს უკვე იერუსალიმისკენ კი-არ მიიღებდა პირს, არამედ ქაბასაკენ, როგორც ახლა შვრებიან ხოლმე მუსულმანები. მოწინააღმდეგენი თანდათან დაუახლოვდენ ერთმანეთს; ბოლოს, წინასწარმეტყველმა მიიღო ნებართვა—გამოცხადებულიყო მექას წმინდა ადგილების თაყვანისცემათ; ძველი საკურთხეველი, ცხადია, უნდა გამხთარიყო ახალი კულტის ცენტრათ. 630 წელს მექამ ფორმალურათ აღიარა მაჰმადის პირველობა და მისი მოძღვრების ჭეშმარიტება: წინასწარმეტყველს ახლა 10000 ჯარი ჰყავდა; მაშინდელი არაბეთისათვის ეს იმისთანა მრისხანე არმიათ ითვლებოდა, რომ არცერთ ქალაქს ფიქრათაც არ მოუვიდოდა მისი წინააღმდეგობა.

მაჰმადის გატოლნობა მექაში.

ჯერ კიდევ უფრო ადრე, სანამ ეს ასე მოხთებოდა, ისლამი პირველათ შეეცადა—გადაებიჯებია სამშობლოს საზღვრებზე; მაჰმადმა დაუგზავნა მეზობელ სამეფოებს,—მათ რიცხვში ბიძანტიის იმპერატორსა და სპარსეთის მეფეს,—დარიგება—შეეგნოთ ჭეშმარიტი ღმერთი და დამორჩილებოდენ მის წინასწარმეტყველს. უმრავლესობამ მანიფესტს არავითარი ყურადღება არ მიაქცია; პატარა მუსულმანური რაზმი, სირიას გა-

გზავნილი, სრულიად დაამსხვრიეს: ყველა ამან მაჰმადს ვერ წაუშალა დასახული მიზანი: იგი ისევ განაგრძობდა მზადებას დიდი ომების გადასახდელათ. მისი სურვილი იყო ქვეყნების დაპყრობა, რომ ერთსა და იმავე დროს ჭეშმარიტი სარწმუნოებაც გაევრცელებია და მოკავშირე არაბთა ტომებისთვისაც საქმე გაეჩინა. ნახევარ-კუნძულის ყოველი კუთხიდან მოეშურებოდენ მაჰმადისკენ ელჩები და ფიცავდენ თავდადებულ ერთგულებას ღვთის მოციქულისადმი და გულმოდგინეობას დაწყებული საქმისადმი. უკვე შეკრებილი იყო ჯარი და მისი ბელადებიც დანიშნული, როცა (632 წ. მაისში) მაჰმადმა ცუდათ იგრძნო თავი; ეტყობოდა, მისი ავათმყოფობა იყო დროგამოშვებითი ცივება, მედინას ჩვეულებრივი სტუმარი, რომლისგანაც პირველ ხანებში ძალიან გაიტანჯენ იქ გადასახლებული მექელები; ყოველ გვემას შემდეგ წინასწარმეტყველი ცთილობდა გამაგრებულიყო, გამოცხადდებოდა ხოლმე მეჩეთში და მორწმუნეთ ებაასებოდა; 7 ივნისს 632 წელს იგი კიდევ დაესწრო დილის ლოცვას, მაგრამ ისეთი ძლიერი პაროქსიზმი დაემართა, რომ დასუსტებულმა ორგანიზმმა ველარ გადიტანა: შვადღეზე მაჰმადი გაწაიცვალა.

სიცოცხლის მეორე ნახევარში, როცა იგი არა მარტო მქადაგებელი იყო ახალი მოძღვრებისა, არამედ მედინის ხელმწიფეთაც ითვლებოდა, მაჰმადის პიროვნებამ იმდენი დაკარგა ზნეობის მხრით, რამდენიც მოიგო ისლამმა მატერიალური გადიდებით. „ღვთის ნება“ ერთბაშათ წინასწარმეტყველის პირად მიზნებს ემსახურებოდა; ხადიჯას სიკვდილს შემდეგ მაჰმადს რამოდენიმე ცოლი ჰყავდა ერთად, როგორც ეს ჩვეულებათ ჰქონდათ მდიდარ არაბებს, და ამით, რასაკვირველია, მისი ოჯახური ცხოვრება არ შეიქმნა უფრო ფაქიზი და მყუდრო. მაგრამ „განცხადებანი“, ჩვეულების ძალით, თავის როლს აქაც ასრულებდენ; ეს „განცხადებანი“ შეიცავდენ უკვე არა მედინის სახელმწიფო

საბჭოს ანგარიშებს, არამედ სრულიად წვრილმანს უშინაარსო ინტრიგებს. ძნელია სათქმელათ, მაჰმადი შეგნებულათ ბოროტ'ათ სარგებლობდა მის თაყვანისმცემელთა ნდობით თუ თავს იტყუებდა. მაგრამ მორწმუნენიც არ იყვნენ ისეთი, როგორიც წინათ; ახლა წინასწარმეტყველისადმი მათ იზიდავდა არა მარტო მისი ქადაგება, არამედ ის სარგებლიანობაც, რომელსაც პირდებოდენ „მართლმორწმუნეთ“ მათი რწმენისთვის. მედინის მრევლში შერეული იყო პოლიტიკა და რელიგია. ხოლო სახელმწიფოში, რომელსაც აშენებდენ მაჰმადის მემკვიდრენი, უკვე პოლიტიკა სჭარბობდა.

დასასრული.

ჯ. ქუთაისის სახ. საჯარო
ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА
Кут. Гос. Б...